



ბადრი ჯინჭარაძე

აკოლონ ჯინჭარაძე
და მისი ერთი
აღმოჩენის
ისტორია





აპოლონ ჯინჭარაძე
(1961-1989)

ბადრი ჯინჭარაძე

**აკოლონ ჯინჭარაძე
და მისი ერთი
აღმოჩენის
ისტორია**

თბილისი
2009

რედაქტორი **თამარ ჯაფარიძე**
ტექნიკური რედაქტორი **გიორგი ორჯონიკიძე**



9 789941 020582

ISBN 978-9941-0-2058-2

© ბადრი ჯინჭარაძე. თბილისი 2009

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი 1989 წლის 10 მარტს გაზეთ „თბილისში“ იუნყებოდა:

„გარდაიცვალა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძე. დაიბადა 1961წ. ნარჩინებით დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტი. შარშან მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. აპოლონ ჯინჭარაძე იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე, კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტში. მან წვლილი შეიტანა გენომის დაქტილოსკოპიის მეთოდის შექმნასა და დამუშავებაში, რისთვისაც მიენიჭა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლექულური ბიოლოგიის ინსტიტუტის პირველი პრემია, პირველი ადგილი და მედალი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. აპოლონ ჯინჭარაძის სახით დავკარგეთ დიდი პერსპექტივების მქონე მკვლევარი, კეთილშობილი ახალგაზრდა.“

სამწუხაროა, რომ აპოლონის სიცოცხლეში საქართველოში მის შესახებ ვერაფრის დაწერა ვერ მოესწრო. პირველი, რაც დაინერა, მისი ნეკროლოგი იყო.

მე ვარ ბადრი ჯინჭარაძე, პროფესიით ექიმი. ამ პატარა წიგნში მინდა მოგიტხროთ ჩემი ძმის – აპოლონ ჯინჭარაძის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

მე გამოვიყენებ ჩემს ხელთ არსებულ ყველა მასალას და შევეცდები გადმოგცეთ ის, რაც, ვფიქრობ, საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრისათვისაც.

აქვე იხილავთ ჩვენს ოჯახს, გარემოს, სადაც აპოლონი იზრდებოდა, მის წინაპრებს, ნათესავენს. თუმცა ყველაზე და ყველაფერზე, რა თქმა უნდა, ვერ დავწერ. ხშირად მოვიშველიებ საგაზეთო სტატიებს, წერილებს, დოკუმენტებს, თუმცა ჩემს პირუთვნელ აზრსაც მოგახსენებთ ამა თუ იმ საკითხზე.

დავუბრუნდეთ იმავე 1989 წელს. სამგლოვიარო განცხადების მეორე დღეს, 11 მარტს, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა გამოსათხოვარი წერილი „**შეუვსები მისი ადგილი...**“, რომელშიც ვკითხულობთ:

„საოცარი სიტყვა გვაქვს ქართველებს... გარდაცვალება. ამაში გვაქვს ჩადებული მწუხარების და სასონარკვეთის დიდი ნუგეში. მაგრამ იმედი, რომელიც ამ მცნებაში ჩაუდვია ბრძენს, მხოლოდ მაშინ არის იმედიანი, როცა უკვე შეიძლება კაცის გარდაცვალება, როცა უკვე ამონურა მან თავის არსებაში ძირითადი და მთავარი, როცა უკვე უყვარდა, როცა უკვე იბრძოლა, მისაღები მიიღო და გასაცემი გასცა. ასეთი დრო ცოტა გვიან უდგება ადამიანს, შუახანს რომ გადასცდება და სიჭარმაგეში შევა.

აი, აპოლონ ჯინჭარაძემ კი უკვე აღნიშნა თავისი დრო, ოღონდ ძალიან ნაადრევად. და ნუგეში არსაით არის. არიან ადამიანები, ვინც ერთნაირი ტკივილით აკლდებიან ახლობლებსაც, შემთხვევით ნაცნობებსაც და თავის შემდგომ ამოუვსებ ადგილს ტოვებენ სიყვარულშიც, საქმიანობაშიც, ძმობაშიც, ამხანაგობაშიც... ასეთი კაცი იყო აპოლონიც. მასზე რედაქციას ცალკე წერილის დაწერა ჰქონდა გადანიშნული. გვინდოდა, მკითხველისათვის კიდევ ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერი გაგვეცნო, მაგრამ... ორიოდ დღის წინ მისმა კოლეგებმა გამოსათხოვარი წერილი მოგვიტანეს...

1983 წელს წარჩინებით რომ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი გენეტიკის სპეციალობით, მაშინვე დაიწყო მუშაობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში, მომდევნო წელს კი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი გახდა. ასპირანტობის წლები ახალგაზრდა მეცნიერისთვის ახალ-ახალი აღმოჩენების პერიოდი იყო. მისი კვლევის საგანი, რომელზეც მან საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, **საბჭოთა მოლეკულური ბიოლოგიის მეცნიერების უკანასკნელი პერიოდის უმნიშვნელოვანეს მიღწევად აღიარეს**. ახალგაზრდა მეცნიერმა თავისი მოღვაწეობის მოკლე პერიოდში მეტად სერიოზულ შედეგებს მიაღ-

ნია. მის მიერ აღმოჩენილი კანონზომიერებანი დღეს შესაძლებლობას აძლევს მეცნიერებას, საფუძვლიანად იქნას შესწავლილი მოლეკულური ევოლუციის პროცესი. მისი შრომები შეფასებულია არა მარტო როგორც დიდმნიშვნელოვანი ღირებულებების მქონე, არამედ პრაქტიკული დანიშნულებების მატარებელიც, რადგან ამჟამად ფართოდ გამოიყენება სასამართლო მედიცინასა და მეცხოველეობაში.

აპოლონ ჯინჭარაძეს დიდად პერსპექტიულ მკვლევარად თვლიდნენ უფროსი თაობის მეცნიერებიც.

მაგრამ... ეს მისი ბედისწერა იყო, თუმცა გენეტიკას არაფერი აქვს საერთო ამ გამოთქმასთან... არ ვიცი, რას ფიქრობდა საკუთარ მემკვიდრეობითობაზე აპოლონი, როგორც მეცნიერი, მაგრამ ლექციის წასაკითხად გამზადებულ ახალგაზრდა ლექტორს აუდიტორიასთან შეხვედრა აღარ დასცალდა...

და დარჩა შეუვსები მისი ადგილი. თითქოს შეუცვლელი არაფერია, მაგრამ არავინ და არაფერი არ მეორდება...”

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. აპოლონის შესახებ ბევრი დაინერა. ინერება დღესაც და, ალბათ, დაინერება მომავალშიც. აპოლონი ისტორიის კუთვნილება გახდა.

აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძე დაიბადა 1961 წლის 6 იანვარს ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში; დედა – **ტერეზა ალექსის ასული ჩხატარაიშვილი**, პროფესიით ზოოინჟინერი და ინგლისური ენის მასწავლებელი, მამა – **გიზო აპოლონის ძე ჯინჭარაძე**, პროფესიით – ეკონომისტი.

მართალია, აპოლონის დედამ ორი უმაღლესი სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა, მაგრამ ხანმოკლე სამუშაო სტაჟი ჰქონდა და მთელი თავისი ნიჭი, ძალა და ენერჯია შვილების აღზრდას მოახმარა. დღეს ასე გავრცელებული გადიების ინსტიტუტი იმ დროისთვის ფრიად იშვიათი იყო და საოჯახო საქმეები, ბავშვების სწავლა-განათლება საკმაოდ ბევრ დროს მოითხოვდა. გარდა ამისა, აპოლონის მამას არანაირი სურვილი არ ჰქონდა, მის მეუღლეს სადმე ემუშავა. თვლიდა, რომ ქალის მთავარი საქმე ოჯახია. თუმცა, როგორც კი ბავშვები წამოიზარდნენ, ქალბატონი ტერეზა ინგლისურ ენაში ატარებდა კერძო გაკვეთილებს და ფრიად წარმატებითაც.

მამაჩვენი ძალიან მშრომელი ადამიანი იყო. რაც თავი მახსოვს, მას სულ ჰყავდა მანქანა: ჯერ „ვილისი“, შემდეგ „პობედა“, ბოლოს ძველი „ვოლგა“. მამა ყველაზე ადრე გადიოდა ჩვენი ეზოდან და ხშირად ყველაზე გვიან შემოდიოდა. ეს მანქანები არ იყო ისეთი უხმაუ-

რო, როგორც დღეს არის და მისი გასვლა-შემოსვლა ჩვენი ე.წ. „იტალიური ეზოს“ მცხოვრებთ მგონი შეუმჩნეველი არ რჩებოდათ. დამოუკიდებელი აზროვნება ახასიათებდა და ჩანაფიქრს აუცილებლად აღასრულებდა. შეეძლო წამოეწყო რაიმეს წარმოება და ეკონომიკური კუთხითაც გაძლოდა საქმეს. თუმცა თვლიდა, რომ იმ დროს შრომა არ იყო თავისუფალი და ბევრ თავის იდეას ხორცს ვერ ასხამდა. ერთმა ჩემმა ძალიან ახლო ნათესავმა ხატოვნად თქვა: „გიზოს შეეძლო ქვაზე ამოეყვანა ყვავილი“. მე ვერ ვიტყვი, რომ მამა ასეთი ჯადოქარი იყო, მაგრამ ყოველთვის აინტერესებდა სიახლე, შენება, რალაცის წამოწყება და, ამ მხრივ, ფანტაზიის ნაკლებობას წამდვილად არ უჩიოდა. ყოველთვის მაინტერესებდა მისი აზრი ამა თუ იმ საკითხზე. უყვარდა თევზაობა, ნადირობა. იოლი ცხოვრების გზა წამდვილად არ ჰქონია. სკოლის დამთავრების შემდეგ იძულებული იყო, შუა აზიაში ეცხოვრა და ოჯახს ეკონომიურადაც ეხმარებოდა. იქიდან დაბრუნებულმა შექმნა ოჯახი. თავისი მომავალი მეუღლე მატარებელში გაიცნო. გურიიდან მოდიოდნენ. თბილისში რომ ჩამოვიდნენ, მამამ დედა სახლამდე მიაცილა. დედა მამიდასთან ცხოვრობდა რუსთაველზე, ზემელზე. 38 წელი იცხოვრეს ერთად. მამა 1998 წლის 25 დეკემბერს გარდაიცვალა.

ჩვენ წარმოშობით გურულები ვართ. აპოლონის დედ-მამა, ბებია-ბაბუა ორივე მხრიდან ოზურგეთის რაიონიდან გახლდნენ. აპოლონის ბაბუა – ისიც **აპოლონ ჯინჭარაძე**, სოფელ ცხემლისხიდიში რუსული ენისა და ლიტერატურის ცნობილი პედაგოგი, უგანათლებულესი კაცი, ჩინებული თამადა და მრავალი თაობის აღმზრდელი იყო. მისი მამა – დიმიტრი მღვდელი გახლდათ. მას ათი შვილი ჰყავდა. ბაბუა თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, თუმცა საერო ცხოვრება არჩია.

მისთვის ყველაზე ძვირფას საჩუქარს წიგნი წარმოადგენდა და იმ დროისთვის საუკეთესო ბიბლიოთეკაც ჰქონდა. სწორედ მის პატივსაცემად დაარქვეს ჩემს ძმას აპოლონი. ბაბუაჩვენი გაიხსენა ცნობილმა მოქანდაკემ მერაბ ბერძენიშვილმა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ზარი“. ამ წიგნში ერთ-ერთ თავს ჰქვია „თეთრი ფაფახი“, რომელშიც ბატონი მერაბი იხსენებს ბაბუასთან ურთიერთობის ერთ ეპიზოდს, ხოლო ერთ ადგილას წერს, რომ „რუსულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა აპოლონ ჯინჭარაძე, რომელიც ნიკოლოზ მეორის ყოფილი ოფიცერი იყო. მისი შიში და რიდი ყველას გვექონდა“.

ჩვენს ოჯახში ინახება ბაბუას უამრავი ხელნაწერი. აქ არის მის მიერ დაწერილი მრავალი ლექსი, მოგონება, ავტობიოგრაფიული ცნობები.

1983 წელს ჩვენმა ოჯახმა გურიიდან მიიღო სასიამოვნო ცნობა, რომელიც ბაბუას ეხებოდა: განათლების, მეცნიერების მუშაკთა და სტუდენტთა პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული საბჭოს თავჯდომარე გ.კუნჭულია გვატყობინებდა, რომ „განათლების, მეცნიერების მუშაკთა და სტუდენტთა პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესდა ბატონ აპოლონ ჯინჭარაძის სახელობის ყოველწლიური პრემია; მისი სანაქებო მოქალაქეობის, სანიმუშო პედაგოგიური და ეროვნული მოღვაწეობის უკვდავსაყოფად და სამაგალითოდ, – მოქმედ მასწავლებელთა წასახალისებლად და რაიონის პედაგოგთა თაობების კავშირისა და მემკვიდრეობითი ურღვევობისათვის“.

მეორე ბაბუა – **ალექსი ჩხატარაიშვილი** მამით აზნაურული წარმოშობის იყო, ხოლო მისი დედა, სახელად ტერეზა, ჯაყელების შთამომავალი გახლდათ. ტერეზა ჯაყელის სახელი დაერქვა აპოლონის დედას. ალექსი ბაბუა ახალგაზრდობაში რუსეთში, შორეულ აღმოსავლეთში ცხოვრობდა და მუშაობდა. ჰქონდა კარგი გარეგნობა, შესანიშნავად საუბრობდა რუსულად, უყვარდა გიტარაზე დაკვრა. მე და აპოლონს არ გვქონია მასთან ურთიერთობის ბედნიერება. ის 1953 წლის 14 იანვარს გარდაიცვალა. დედა მაშინ მერვე კლასში სწავლობდა.

ჩვენი ბებია – მამის დედა – **ნინო დოლიძე** ანუ ნინუცი ბებია ბოლო 7 წელი თბილისში ჩვენთან ერთად ცხოვრობდა. მისი მამა გურიაში გააკულაკეს კომუნისტებმა. ამ ფაქტს გულისტკივილით იგონებდა ხოლმე. ამბობდა, რომ მამამისი, იაგორ დოლიძე მშრომელი კაცი იყო და მისი ნაშრომ-ნაჯაფი კომუნისტებმა ერთ დღეში წაიღეს. გურიაში, მახსოვს, სოფლის საბჭო სწორედ იაგორის ერთ-ერთ ქვითკირის სახლში იყო განთავსებული. ბებია მთელი თბილისური ცხოვრება კითხვაში გაატარა. კითხულობდა ისტორიულ რომანებს. იგი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. აპოლონთან საუბრისას უცბად დალია სული.

მეორე ბებია – **ელენე შაფაქიძე** გურიაში ცხოვრობდა. ელიჩქა ბებია ადრე დაქვრივდა და მთელი მრავალშვილიანი ოჯახის ტვირთი მას დაანვა მხრებზე. ჩვენი სახლი სოფელ შემოქმედშია და მთის წვერიდან მას შემოქმედის ულამაზესი მონასტერი დაჰყურებს. ბებუის

გამომცხვარი კვერის გემო ახლაც მახსოვს. ყოველთვის გვიხაროდა მისი თბილისში ჩამოსვლა. სოფელში სასთუმალთან ჰქონდა ნიგნი ვაჟა ფშაველაზე. თვითონაც წერდა ლექსებს თავშესაქცევად. ცნობილი ლექსიკოგრაფები თამარ და ისიდორე გვარჯალაძეები მისი დეიდაშვილები იყვნენ. საერთოდ, დედის მხარე ენების შესწავლისკენ იყო მიდრეკილი. აპოლონის ბიძამ, დიმიტრი ჩხატარაიშვილმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, გამოსცა ლექსების კრებული. ერთ ლექსს ჰქვია „ჰიმნი დედაზე“:

მიყვარს ტკბილი დედაენა,
დედის სიტბო ზღაპრული,
დედა ბოძი, დედის კალთა,
დედის ნმინდა მანდილი,
დედის ლოცვა გვირისტებად
გულში ამოქარგული.
გუთნის დედა, დღენიადაგ
შრომით ხელდაშაშრული.
თუ ოდესმე ვნატრობ, ვფიქრობ,
გულით რაც რომ მინდება,
ყველაფერი სანუკვარი
დედას უკავშირდება.
დედის კვერი გამომცხვარი,
თბილი და ჯვარდასმული,
დედის მიერ ნაბოძები
ზნესრულობა ნამდვილი.
იცით, როგორ მენატრება
რომ იყო და არ არის,
დედაჩემი, დღეს წარსულში
დარჩენილი ზღაპარი.

პოეზია აპოლონსაც უყვარდა. ხანდახან თვითონაც წერდა. უფრო სწორად, ცდილობდა დაენერა. საერთოდ ყველაფერში სურდა ძალა ეცადა. ერთხელ პასტელის სახატავი ფანქრები მოიტანა. უნდოდა რაღაცეები ეხატა თავისუფალ დროს. უყვარდა ჩანახატების გაკეთება ფანქრით. ძირითადად პორტრეტებს ხატავდა.

ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა და ცხოვრობს თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე. მართალია, დასაწყისში საკმაოდ სივინროვეში გვიწევდა ყოფნა, მაგრამ დროთა განმავლობაში გავფართოვდით და ამ მხრივ სანუწუნო აღარაფერი გვქონდა. ჩვენ ისე გვიყვარ-

და ჩვენი უბანი, რომ სხვა ადგილას გადასვლა ვერ წარმოგვედგინა. ეს ოჯახი ყოველთვის ნათესავეებისა და ახლობლების თავშეყრის ადგილი იყო. უფრო მეტიც, რაც თავი მახსოვს, ჩვენთან სულ ვინმე ნათესავი თუ ახლობელი ცხოვრობდა.

მამას ჰყავდა ერთადერთი და **ვიტალისა**, რომელსაც ვაჟიშვილი ადრეულ ასაკში გარდაეცვალა, ქმარს გაეყარა და მარტო ცხოვრობდა ქობულეთში, სადაც ექიმად მუშაობდა. 1968 წლიდან მამიდა გადმოვიდა თბილისში ჩვენთან საცხოვრებლად, ხოლო მუშაობა თავისი პროფესიით განაგრძო კოჯორში. ვინაიდან ზამთარში კოჯორში კლიმატი საკმაოდ მკაცრია, მამიდა ხშირად თბილისიდან დადიოდა სამსახურში. ეს იყო აპოლონის მუდმივი გარემოცვა: დედა-მამა, ძმა და მამიდა. ხოლო სხვადასხვა დროს ჩვენთან მცხოვრებთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მამიდა ვიტალისა, რომელსაც ძმისშვილები ტუბას ვეძახდით, 80 წლის ასაკში გარდაეცვალა, 2002 წლის 11 ივნისს.

დედა, მამისგან განსხვავებით, მრავალშვილიანი ოჯახიდან იყო. ჰყავდა ხუთი ძმა და ერთი და. ესენი იყვნენ: მაშო, ქველი, კოტე, დიმიტრი, ალექსი და დათა. დედა, დიმიტრის მომდევნო იყო. უფროსი ძმა **ქველი ჩხატარაიშვილი** პროფესიით ისტორიკოსი გახლდათ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, განყოფილების გამგე.

ბავშვობაში მე და ჩემი ძმა განებზერებული ვიყავით ქველი ბიძიას ყურადღებით. მიუხედავად იმისა, რომ სულ მოუცლელი იყო, მაინც ახერხებდა ბავშვების ინტელექტუალურ განვითარებაზე და გართობაზე ზრუნვას. კვირის ბოლოს, ჩემს ბიძაშვილებთან ერთად ხშირად მოდიოდა ჩვენთან სახლში და ბავშვები კინოში, ზოოპარკში, ახალ წელს სპორტის სასახლეში ნაძვის ხეზე მივყავდით. განსაკუთრებით კინოში წასვლა გვიხაროდა. რუსთაველზე იმ დროს იყო კინოთეატრი „სპარტაკი“ და ყველაზე ხშირად მისი სტუმრები ვიყავით. ასევე, ხშირად დავდიოდით კინოს სანახავად ოფიცერთა სახლში. ქველი ბიძიას მოჰქონდა შემეცნებითი წიგნები, წიგნები ბუნებაზე. შესანიშნავად ფლობდა გერმანულ ენას, მაგრამ, ასევე შეეძლო ეთარგმნა ინგლისურიდან, იტალიურიდან, ფრანგულიდან და თქვენ წარმოიდგინეთ, პოლონურ, ჩეხურ, უნგრულ ენებზე დაწერილ ტექსტებშიც ერკვეოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსულზე. მე თუ ქველი ბიძია წარმომიდგება თვალწინ, აუცილებლად წიგნით ან გაზეთით ხელში, კითხვის პროცესში. ფილარმონიასთან ახლოს, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობდა და კვირა ისე არ გაივ-

ლიდა, რომ რამდენიმეჯერ არ შემოერბინა ჩვენთან თავისი განუყრელი ტყავის საქალაღდეთი, წიგნებით და გაზეთებით ხელში. სიყალბეს ვერ იტანდა. რატომღაც სულ რუსულად ამბობდა ხოლმე: „ლიპაა, ლიპა“. ჩვენ ვცდილობდით, მასთან საუბრისას გაგვერკვია, თუ რა იყო ნამდვილი და ნაღდი. აპოლონი ძალიან კარგად უგებდა ბიძას და ისინი ყოველთვის ინტერესით უზიარებდნენ ერთმანეთს აზრს. უდავოა, ქველი ბიძიას როლი ჩვენი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. მან დაგვაჩვია წიგნის, უცხო ენების, ბუნების სიყვარულს, რა თქმა უნდა, ჩვენს მშობლებთან ერთად. ერთხელ, რომ შემატყო იტალიური ენით დაინტერესება, სპეციალური სახელმძღვანელო მაჩუქა და იტალიური ენის ფონეტიკაში პირველი გაკვეთილებიც ჩამიტარა. მას შემდეგ მე იტალიურ ენასთან კავშირი აღარ გამინწყვეტია.

მოგვიანებით, როდესაც მე და აპოლონი სტუდენტები გავხდით, ისევ ხშირად დავდიოდით კინოში: ხან ჩვენ ორნი, ხან მეგობრებთან ერთად. ქალი მსახიობებიდან აპოლონს მოსწონდა ჟაკლინ ბისე, დომენიკ სანდა, რომი შნაიდერი, ანი ჟირარდო; ხოლო მამაკაცი მსახიობებიდან: ჟან გაბენი, ალენ დელონი, ფილიპ ნუარე, რობერტ რედფორდი.

მახსოვს მისი აღფრთოვანება, როცა უნგრეთში ყოფნისას ნახა მილოშ ფორმანის ცნობილი მუსიკალური ფილმი „თმა“. უნგრეთშივე ნახა პაზოლინის „დეკამერონი“. მაშინ, ამ ტიპის ფილმებს ჩვენში არ აჩვენებდნენ. აპოლონი ქართულ ფილმებსაც არ ივინწყებდა და ხშირად იმეორებდა ფრაზებს ამ ფილმებიდან.

რაც შეეხება თეატრში სიარულს, ეს ოჯახური ტრადიცია გახლდათ. მივდიოდით მთელი ოჯახით. მოგვიანებით უფრო მამასთან ერთად. აპოლონის საყვარელი გამოთქმა იყო: „მე რასაც ვაკეთებ, ყველაფერს ლაზათიანად ვაკეთებ“ – ფრაზა „კავკასიური ცარცის წრიდან“. მართლაც ასე იყო.

მოსკოვის თეატრებშიც ხშირად დავდიოდით. ვსტუმრობდით გორკის, მაიაკოვსკის, ვახტანგოვის სახელობის თეატრებს. ეს მაშინ ხდებოდა, როცა მე ხანმოკლე დროით ჩავდიოდი ძმასთან. ისე მოხდა, რომ კინოში იქ არასდროს წავსულვართ.

ძალიან უყვარდა მუსიკაც. ჯგუფებიდან უფრო უსმენდა: „Queen“-ს, „The Beatles“-ს, „Bee Gees“-ს. ძალიან მოსწონდა სიმღერა „სასტუმრო კალიფორნია“, რომელსაც ჯგუფი „Eagles“ ასრულებს. შემსრულებლებიდან მოსწონდა – მაიკლ ჯექსონი, სტივ უანდერი, პოლ მაკარტნი. მაკარტნი ორივეგან მოსწონდა – „The Beatles“-შიც

და მის მიერ მოგვიანებით ჩამოყალიბებულ „Wings“-შიც. თავისუფალ დროს, უყვარდა ტრანზისტორის ჩართვა და სიმღერების მოსმენა. უფრო „რადიო მონტი-კარლოს“ ანიჭებდა უპირატესობას.

აპოლონი სერიოზულად იყო გატაცებული ფოტოგრაფიით. ეს ინტერესი მას მამისგან გამოჰყვა, რომელიც მთელი ცხოვრება იღებდა სურათებს და თავადვე ბეჭდავდა. მამას ჰქონდა რამდენიმე ფოტოაპარატი და საბეჭდი ლაბორატორია. ამდენი ფოტომოყვარული ოჯახში საჭირო არ იყო და მე, ცოტა არ იყოს ჩამოვრჩეობდი ამ საქმეში. მაგრამ მესამე კურსზე ვიყავი, როდესაც ჩემმა მეგობარმა გეგი ჩხეიძემ სვანეთში დამპატიჟა საზაფხულო არდადეგებზე. აპოლონმა მოკლე ინსტრუქტაჟი ჩამიტარა, რაღაცეები ჩამანერინა: როგორ უნდა მეხმარა ექსპონომეტრი, როგორ უნდა გამესწორებინა მასზე ფოტოაპარატი და ა.შ. სხვათა შორის, შესანიშნავი სლაიდები გადავიღე. დღეს ფოტოგრაფია გაცილებით გაიოლებულია.

აპოლონს თითქმის მთელი საქართველო ჰქონდა მოვლილი და ფოტოაპარატი სულ თან დაჰქონდა.

აპოლონმა, რუსულის გარდა ჩინებულად იცოდა ინგლისურიც. 1967 წელს აპოლონი მშობლებმა შეიყვანეს თბილისის 47-ე საშუალო სკოლაში. ამ სკოლაში ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება იყო და დედის არჩევანიც სწორედ ამან განაპირობა. სკოლა მდებარეობს მთავრობის სახლის უკან ორასიოდე მეტრში. ჩვენი სახლიდან იქ მისვლა შეიძლებოდა რუსთაველის გამზირის გავლით ან უფრო მოკლეზე, მთანმინდის ქუჩებით. ზოგჯერ მამას ან რომელიმე ბავშვის მშობელს მივყავდით მანქანით, ჩვენი ეზოს თითქმის ყველა ბავშვი ხომ ამ სკოლაში სწავლობდა. ასე რომ, რუსთაველის გამზირი და ზოგადად მთანმინდის უბანი იყო აპოლონის უსაყვარლესი ადგილი; აქ ჩაიარა მთელმა მისმა ბავშვობამ და ყრმობამ, თუ არ ჩავთვლით ზაფხულის პერიოდებს, როდესაც მთელი ოჯახით ავდიოდით კოჯორში.

აპოლონი სკოლაში კარგად სწავლობდა. ყველა საგანში მაღალი ნიშნები ჰქონდა, თუმცა სკოლა მედალზე არ დაუმთავრებია და არც არავის უთქვამს მისი მშობლებისთვის, რომ თქვენი შვილი დიდი მეცნიერ-მკვლევარი დადგებო.

ინგლისური და რუსული ენების, ფოტოგრაფიის ცოდნა აპოლონს მომავალში დაეხმარა მის სამეცნიერო მოღვაწეობაში. ვგულისხმობ იმას, რომ აპოლონი არ ჩამორჩებოდა მსოფლიო მეცნიერებაში მიმდინარე მოვლენებს, რაშიც ენების ცოდნა უწყობდა ხელს. სადისერ-

ტაციო ნაშრომი კი სავსეა უშუალოდ აპოლონის მიერ გადაღებული ფოტოებით.

1970 წელს, ბაბუის – აპოლონ ჯინჭარაძის გარდაცვალების შემდეგ, ბებია სულ მალე თბილისში გადმოვიყვანეთ საცხოვრებლად. ამის შემდეგ ჩვენ იშვიათად ჩავდიოდით გურიაში. საერთოდ, ზაფხულს გურიაში არ ვატარებდით. 1966 წლამდე ჩვენ ვისვენებდით წყნეთში, ხოლო 1966 წლიდან კოჯორში, სადაც ყველაზე ადრე ავდიოდით და ყველაზე გვიან ჩამოვდიოდით. ნინუცი ბებიას, მართალია, გურია ენატრებოდა, მაგრამ კოჯრითაც ფრიად მოხიბლული იყო. მე და ჩემი ძმა გურიას მაინც ხშირად ვიხსენებდით; ვუსმენდით გურულ სიმღერებს. მოგვიანებით, მე და აპოლონი გართობის თუ განტვირთვის მიზნით, ზოგჯერ გურულად ვუქცევდით და მგონი ცუდად არ გამოგვდიოდა.

კოჯორში ჩვენი სახლის წინა მხარეს წინვოვანი ტყეა. ამ ტყეში ხშირად დავდიოდით. გვექონდა პეპლების არაჩვეულებრივი კოლექცია, ნაირგვარი ჰერბარიუმები. სახლის უკანა მხარეს კი ფოთლოვანი ტყეა, შესანიშნავი წყაროთი. ტყეში ხშირად ქველი ბიძია იყო ჩვენი მეგზური. გვიხსნიდა, თუ როგორ უნდა გაგვეჩნია საკვებად ვარგისი სოკოები შხამიანისაგან, გვაცნობდა ამა თუ იმ მცენარეს.

აპოლონს განსაკუთრებულად უყვარდა ბუნება. ბაყაყის, ხვლიკის ხელში დაჭერა მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა. მათზე რალაც დაკვირვებებსაც ახდენდა. ვფიქრობ, ეს ჩვევები მას მომავალში გამოადგა. მახსოვს, სტუდენტობის დროს რალაც თემაზე მუშაობდა (გენეტიკას ეხებოდა) და ერთხელ მეც გამიყოლა ახლანდელ კოსტავას ქუჩაზე (ადრე ლენინის ქუჩა რომ ერქვა). ექსპერიმენტებს ატარებდა თეთრ თაგვებზე. ისე კობტად იჭერდა ხელში და ისე ოსტატურად უკეთებდა ნემსს, რომ გაკვირვებული დავრჩი.

უნდა აღვნიშნო, რომ აპოლონს ძალიან დაკვირვებული თვალი ჰქონდა. მრავალი ფოტოა ჩვენს ოჯახში, სადაც აპოლონი ხან ხეზე რალაცას აკვირდება, ხან მიწაზე, ხან ყვავილზე. მისი მზერა სულ რალაცისკენაა მიპყრობილი. მე ცხოვრებაში არაფერი მიპოვნია, ჩემი ძმა კი სულ პოულობდა სხადასხვა ნივთებს ხან ქუჩაში, ხან ტყეში. მის თვალს არაფერი გამოეპარებოდა.

ჩვენს ეზოში, მეზობლად, ერთი სართულით ზევით ცხოვრობს ქალბატონი მეგი კაჭარავა, რომელიც პროფესიით ბიოლოგია. მის სახლში ბევრი მცენარეა და პატარა აპოლონს უყვარდა დედასთან ერთად მასთან ასვლა; ამბობდა, იქ ისევე კარგია, როგორც ტყეშიო.

ქალბატონი მეგი ბოტანიკოსია და სახლში პალმის ხეებიც კი აქვს. სკოლის პერიოდში ის ბიოლოგიის საკითხების ათვისებაში გვეხმარებოდა. აპოლონს კი უნივერსიტეტშიც ასწავლიდა. მართალია, აპოლონი ბოტანიკის განხრით არ წასულა, მაგრამ ქალბატონმა მეგიმ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მასზე და კიდევ უფრო მეტად შეაყვარა მეცნიერების ეს დარგი.

1978 წლის 26 მარტს, სასკოლო არდადეგების პერიოდში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოაწყო ეგრეთწოდებული „ღია კარის დღე“. უნივერსიტეტში მოსულ აბიტურიენტებს შეხვდნენ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა. შეხვედრები ფაკულტეტების მიხედვით ტარდებოდა; ბიოლოგიის ფაკულტეტის შეხვედრა – ვაკეში, ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე უნივერსიტეტის მესამე კორპუსის პირველ აუდიტორიაში გაიმართა. სწორედ ამ დღეს მიიღო აპოლონმა გადაწყვეტილება ნასულიყო გენეტიკის განხრით, თუმცა მანამდე ფიზიოლოგობას აპირებდა. შემდეგ ეს აზრი სიცოცხლის ბოლომდე აღარ შეუცვლია, ხოლო 1982 წელს, როდესაც კვლავ იყო „ცდუნება“, გადევნა ამ გზიდან, აპოლონი თავის დღიურში დაწერს: „მე ჩემს გენეტიკას ვერ ვუღალატებ“.

1978 წელს აპოლონი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (დღევანდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და 1983 წელს წარჩინებით დაამთავრა მისი სრული კურსი ბიოლოგის სპეციალობით (სპეციალიზაცია – გენეტიკა).

აპოლონი კარგი სტუდენტი იყო. მამა ყველა პირობას გვიქმნიდა სწავლისთვის და თან გვახალისებდა იმით, რომ საშუალებას გვაძლევდა გვევლო თეატრში, კინოში და ა.შ. იყო რაღაც პერიოდი, როდესაც მე და აპოლონი დილით ერთად გავდიოდით სახლიდან: მე მივდიოდი სამედიცინო ინსტიტუტში, აპოლონი – უნივერსიტეტში. საღამოს ხშირად მეკითხებოდა ინსტიტუტის ამბებს; გარკვეულ რჩევა-დარიგებასაც მაძლევდა. თუმცა დიდხანს საუბარი და ბევრი შეკითხვის დასმა არ უყვარდა. მე რომ ვატყობდი სიამოვნებდა ჩემი მოსმენა, ისედაც ენაწყლიანი სულ ენად გავიკრიფებოდი. ჩემი ეს თვისება აპოლონის გარდაცვალებასთან ერთად ჩაკვდა ჩემში. საერთოდ, მის შემდეგ ჩემმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა.

ყრმობაში გვაინტერესებდა მეცნიერული აღმოჩენები და ამასთან დაკავშირებით მახსენდება, თუ რა ინტერესით წავიკითხეთ ჯე-

იმს უოტსონის წიგნი „ორმაგი სპირალი“, რომელიც ქართულ ენაზე იყო თარგმნილი არნოლდ გეგეჭკორის მიერ.

აპოლონს ჰქონდა ფირფიტები, ცნობილ მეცნიერთა საუბრების ჩანაწერებით. ერთ ფირფიტაზე აკადემიკოსი ალექსანდროვი ამბობდა, რომ ნამდვილი მეცნიერი მის შრომებთან არის გაიგივებული... აინშტაინი ეს არის მისი ფარდობითობის თეორია... ნიუტონი – ნიუტონის კანონები...

მოსკოვში ყოფნისას დიდი გატაცებით გამაცნო ორგზის ნობელიანტის ლაინუს პოლინგის სიტყვები იმის შესახებ, რომ ბედნიერია ადამიანი, როცა ის მეცნიერია და რომ მეცნიერულ კვლევაში დიდი სულიერი კმაყოფილება სდევს თან. აპოლონს ეს უკვე განცდილი ჰქონდა და მის თვალეში იგრძნობოდა, რომ სრულებით ეთანხმებოდა ამ მოსაზრებას.

აპოლონი აგროვებდა ბრძნულ გამონათქვამებს და შემდეგ პატარა ალბომებად კინძავდა. უყვარდა აგრეთვე იუმორისტული ალბომების კეთება. მოსკოვში ყოფნისას უფრო „კროკოდილიდან“ ამონაჭრებს აგროვებდა. იუმორი ძალიან უყვარდა და თავისი კოლექციის მარგალიტებს ხშირად სხვებსაც უკითხავდა.

მახსოვს ერთხელ დიდი ასოებით დაენერა სადღაც გაგონილი თუ წაკითხული ასეთი რამ: „დიდი მონადირეები დიდ სპილოებზე ნადირობენ“. ეს იუმორით ნათქვამი ფრაზა რუსულ ენაზე ჩაენერა და მგონი არა შემთხვევით – იგი მის სულისკვეთებას ესადაგებოდა.

ყველა, ვინც აპოლონს იცნობდა, ხაზგასმით აღნიშნავს მის კეთილშობილებას, კეთილგანწყობას ახლობლებისადმი, მეგობრებისადმი ყურადღებას. და არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ აპოლონის დღიურის გამჭვირვალე ყდას ამშვენებს ჟურნალიდან ამოჭრილი ილიას ცნობილი სტროფი:

**კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე,
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე,
აბა, დღეს მე ვის რა ვარგე.**

აპოლონი ყურადღებას იჩენდა ოჯახის თითოეული წევრის მიმართ. მახსოვს, მაგალითად, ყოველ წელს, უკვე მოსკოვში მყოფი, აუცილებლად დარეკავდა და მამიდას და მე გვილოცავდა მედიცინის მუშაკთა დღეს. ეს დღე, როგორც წესი, უფერულად აღინიშნებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში.

ასეთი ყურადღებიანი იყო სტუდენტობის პერიოდშიც. უნგრეთში პრაქტიკაზე ყოფნის დროს გამოგზავნილ ღია ბარათში ის წერს: „სალამი ყველას! ამ ბარათს ვაგზავნი შოპრონიდან. უკვე მესამე დღეა, რაც უნგრეთში ვართ. შესანიშნავად ვგრძნობ თავს. მიგვიღეს არაჩვეულებრივად და თავს გვევლებიან. ყველაფერი ლამაზია და საინტერესო. ღამეებს სხვადასხვა ქალაქებში ვათევთ. ყველგან არაჩვეულებრივი პირობებია. იმდენ ადგილას ვჩერდებით და იმდენ რამეს გვიჩვენებენ, ჩანერას ძლივს ვასწრებთ. მოკლედ, ოღ რაით (ინგლ. „ყველაფერი კარგადაა“ – ბ.ჯ.). კარგად იყავით. გოცნით ყველას. მენატრებით. აპოლონი.“

ვინ იყო ის ადამიანი, ვინც პირველმა დაინახა აპოლონიში პერსპექტიული მკვლევარი? ეს გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის გენეტიკის კათედრის გამგე, პროფესორი **თეიმურაზ ლეჟავა**. მე დღესაც გაოცებული ვარ ამ ადამიანის ალლოთი. მან აპოლონიში დაინახა მეცნიერი მკვლევარისთვის საჭირო თვისებები. ამ ადამიანის ყურადღება აპოლონის მიმართ და ფიქრი მის სამეცნიერო კარიერაზე ჩვენი ოჯახის წევრების აღფრთოვანებას და უსაზღვრო მადლიერებას იწვევდა.

ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში ბატონმა თეიმურაზმა აპოლონი მიაგვლინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ნუკლეინის მჟავების ლაბორატორიაში (ხელმძღვანელი ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **თენგიზ ბერიძე**) მოლეკულურ ბიოლოგიასა და მოლეკულურ გენეტიკაში მოსამზადებლად. აპოლონის ძალები, როგორც წარმატებული მომავლის მქონე მეცნიერისა, სავსებით ირწმუნა ბატონმა თენგიზ ბერიძემაც და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აპოლონის ნიჭი შეუფერხებლად გამოვლენილიყო. აშკარაა, ამ ორი უანგარო ადამიანის როლი აპოლონის სამეცნიერო კარიერაში. თავად აპოლონიც დიდად აფასებდა ამ პიროვნებებს და ყველანაირად ცდილობდა, მათი იმედები გაემართლებინა.

მოგვიანებით, მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებულ სხდომაზე, როცა ბატონი თენგიზ ბერიძე აპოლონის გამორჩეულობაზე საუბრობდა, აღნიშნა, რომ პროფესორ ლეჟავას არც აპოლონამდე და არც მის შემდეგ აღარავინ მიუვლენია ბიოქიმიის ინსტიტუტში.

სტუდენტობის წლებში აპოლონი ასრულებს სხვადასხვა ნაშრომს, რომლებიც ყოველთვის ყურადღებას იმსახურებს. მე ხელთ მიპყრია საახალწლო მისალოცი ბარათი, სადაც ვკითხულობთ: „გე-

ნეტიკის კათედრა ულოცავს ახალ 1982 წელს (კონკურსში გამარჯვებულს) „მისტერ გენეტიკას“ – სანიმუშო სტუდენტ აპოლონ ჯინჭარაძეს“.

თუმცა მისი წარმატებები არ იფარგლება მხოლოდ გენეტიკით. მან ასევე შეასრულა ნაშრომი „ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემები XXVI ყრილობის მასალებში“ (რუსულ ენაზე); მაშინ აპოლონი IV კურსზე იყო. ამ ნაშრომმა დაიმსახურა პირველი ხარისხის დიპლომი სტუდენტთა ნამუშევრების საკავშირო კონკურსზე. ამ ფაქტთან დაკავშირებით, კიევში მას გადაეცა დიპლომა და დიდი, მასიური მედალი. წარმატებები თითქოს დაეუბდა აპოლონს. ერთხელ, ცოტა არ იყოს გაკვირვებითაც, მითხრა: „ბადრი! ეს ხალხი „ნახვამდის აპოლონი!“ აღარ მეუბნება, არამედ „მომავალ წარმატებებს გისურვებ“-ს ამბობებენ“-ო.

აპოლონის გარდაცვალების შემდეგ მისი პირადი საქმე ჩვენს ოჯახს გადმოსცეს. იქ აპოლონი მიუთითებს შემდეგ ნაშრომს: „კოლაგენური თანმიმდევრობების და ტრანსკრიბციულად აქტიური განმეორებადი ელემენტების დახასიათება ადამიანის ფიბრობლასტების კომპლემენტარული დნმ-ის ბანკში“. ეს მისი სადიპლომო ნაშრომის დასახელებაა, რომელიც მან მოსკოვში შეასრულა.

ქვემოთ დეტალურად არის მოცემული აპოლონ ჯინჭარაძის შრომითი საქმიანობა მეცნიერების ისეთ რთულ დარგში, როგორც გენეტიკაა. იწყება 1983 წლის 30 სექტემბერს და მთავრდება 1989 წლის 4 მარტს. სულ 5 წელი და 5 თვე. აი მისი განვლილი გზაც:

102 ბრძანებიდან ამონაწერი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი

ქ. თბილისი

1983 წლის 30 სექტემბერი

დაინიშნოს აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძე უფროს ლაბორანტად ნუკლეინის მჟავების ლაბორატორიაში ა.წ. ოქტომბრიდან. ხელფასი, როგორც უმაღლესი განათლების მქონეს დაენიშნოს 110 (ასათი) მანეთი თვეში.

დირექტორი

ს. დურმიშიძე

**სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლექულური
ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს
აკადემიკოს ვ. ა. ენგელჰარდტს**

დიდად პატივცემულო ვლადიმერ ალექსანდრეს ძევ,
საქართველოს სსრ მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი გთხოვთ
თქვენ მიუჩინოთ სამუშაო ადგილი უფროს ლაბორანტს აპოლონ გი-
ზოს ძე ჯინჭარაძეს ა.ნ. 18 ნოემბრიდან ერთი წლის ვადით.
პატივისცემით

ინსტიტუტის დირექტორი
17 ნოემბერი, 1983 წ.

ს. დურმიშიძე

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი 43-ბ 1983 წლის 17 ნოემბერი

ნება დაერთოს მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტს უფროს ლაბო-
რანტს აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძეს მიუჩინოს სამუშაო ადგილი
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოლექულური ბიოლოგიის
ინსტიტუტში (ქ. მოსკოვი), ა.ნ. 18 ნოემბრიდან 1984 წლის 19 ნოემ-
ბრამდე.

საფუძველი: ბიოლოგიის განყოფილების შუამდგომლობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ნ. ლანდია

**124-ე ბრძანებიდან ამონაწერი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი**

ქ. თბილისი 1983 წლის 22 ნოემბერი

უფროსი ლაბორანტი აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძე გადაყვანილ
იქნას სტაჟიორ-მკვლევარად და მიეჩინოს სამუშაო ადგილი ქ. მოს-
კოვს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლექულური ბიოლოგიის ინ-
სტიტუტში ერთი წლით, ამა წლის 18 ნოემბრიდან 1984 წლის 19 ნო-
ემბრამდე.

საფუძველი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1983 წლის 17 ნოემბრის განკარგულება 43-პ

ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ს. ვ. დურმიშიძე

113/კ ბრძანებიდან ამონაწერი
სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტი

1983 წლის 28 დეკემბერი

ქ. მოსკოვი

აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძე – საქართველოს სსრ მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის სტაჟიორი-მკვლევარი ჩაირიცხოს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში სტაჟირების გასავლელად მივლინების სახით 1 წლის ვადით ამა წლის 1 დეკემბრიდან 1984 წლის 30 ნოემბრამდე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1982 წლის 8 თებერვლის განკარგულების შესაბამისად 10105-198.

საფუძველი: ინსტიტუტის დირექტორის ს.დურმიშიძის წერილი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ. კორ. რ. მ. ხომუტოვას რეზოლუციით.

ინსტიტუტის დირექტორი:

ვ. ა. ენგელჰარდტი

მიზნობრივ ასპირანტურაში ადგილის გამოყოფის შესახებ
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტს აკად. გ. ჯიბლაძეს

ბატინო გიორგი გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა, რათა მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტს დამატებით გამოეყოს ერთი ადგილი მიზნობრივ ასპირანტურაში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში 1984 წლისათვის.

ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებს ჩააბარებს მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის სტაჟიორ-მკვლევარი აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძე, რომელიც ამჟამად სტაჟირებას გადის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში.

ამხ. ა. ჯინჭარაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი 1983 წელს წარჩინების დიპლომით. არის მომზადებული და პერსპექტიული მეცნიერი. სტაჟირების პერიოდში თავი გამოიჩინა, როგორც მზარდმა მუშაკმა.

ინსტიტუტის დირექტორი
4 აპრილი, 1984 წ.

ს. ღურმიშიძე

**მიზნობრივ ასპირანტურაში ადგილის გამოყოფის შესახებ
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტს აკად. გ. ჯიბლაძეს**

ბატონო გიორგი,

ჩვენი ა. წ. 4 აპრილის 09.04-801/217 წერილით 1984 წლისთვის დამატებით მოვითხოვეთ ერთი ადგილი მიზნობრივ ასპირანტურაში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში, „მოლეკულური ბიოლოგიის“ (03.00.03) სპეციალობით სტაჟიორ მკვლევარ აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძისთვის. ვინაიდან ა.ჯინჭარაძის მეცნიერ ხელმძღვანელი სამუშაოდ გადავიდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური გენეტიკის ინსტიტუტში, გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა, რათა მოთხოვნილი ადგილი შეგვეცვალოს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური გენეტიკის ინსტიტუტში სპეციალობით „მოლეკულური ბიოლოგია“ (03.00.03).

ინსტიტუტის დირექტორი
25 მაისი, 1984 წ.

ს. ღურმიშიძე

**ამონაწერი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს სხდომის N 6 ოქმიდან**

ქ. თბილისი

1984 წლის 29 მაისი

ესწრებოდნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. ვ. ღურმიშიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად-

დემის წევრ-კორესპონდენტები: ნ. ნ .ნუცუბიძე, დ.ი.ჯოხაძე, გ.ი.კვესიტაძე, მეცნიერებათა დოქტორები: ო.თ.ხაჩიძე, თ.გ.ბერიძე, მეცნიერებათა კანდიდატები: მ. შ. გორდეზიანი, ა. გ. შალაშვილი, ვ. ვ. ჩუბინიძე, ო. ა. ბუაძე, გ. ი. დარასელია და სხვ.

მოუსმინეს: ინსტიტუტის სწავლულ მდივანს ვ. კ. ხიდურელს აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძის კანდიდატურის წარდგენის შესახებ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის მიზნობრივ დასწრებულ ასპირანტურაში სპეციალობით „მოლეკულური ბიოლოგია“ – 03.00.03.

ა. ჯინჭარაძემ 1983 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად ის გადის სტაჟირებას სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში, უჩვენა რა თავი მომზადებულ, პერსპექტიულ მკვლევრად.

აზრი გამოთქვას: ს. ვ. დურმიშიძემ, თ. გ. ბერიძემ, ო. თ. ხაჩიძემ.

დაადგინეს: რეკომენდაცია გაუწიონ აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის მიზნობრივ დასწრებულ ასპირანტურაში ჩასარიცხად სპეციალობით „მოლეკულური ბიოლოგია“ – 03.00.03.

**სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე
სწავლული მდივანი**

**ს. დურმიშიძე
ვ. ხიდურელი**

**92/კ ბრძანებიდან ამონაწერი
სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტი**

ქ.მოსკოვი

1984 წლის 31 ოქტომბერი

დამტკიცდეს ინსტიტუტის მიმღები კომისიის გადაწყვეტილება ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩარიცხვაზე ასპირანტების სპეციალობების მიხედვით მიღების გეგმის შესაბამისად:

მიზნობრივ ასპირანტურაში, წარმოებიდან მოწყვეტით

„მოლეკულური ბიოლოგია“ – 03.00.03

ჯინჭარაძე ა .გ.

საფუძველი: ასპირანტურაში მიღების გეგმა, დამტკიცებული სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1983 წლის 30 დეკემ-

ბრის განკარგულებით 10105-2125, 1984 წლის 31 ოქტომბრის მიმ-
ლები კომისიის სხდომის ოქმი.

ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ. კორ. ა. დ. მირზაბეკოვი
ასპირანტურის გამგე ზ. ა. პანფეროვა

სსრკ მეცნიერებათა აკადემია
მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტი

ქ. მოსკოვი, ვავილოვის ქ. 32 1984 წლის 2 ნოემბერი

(შეტყობინება სამუშაო ადგილზე) საქართველოს სსრ მეცნიერე-
ბათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი
ასლი: (მიღებულს მიზნობრივ ასპირანტურაში)
აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძეს

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინ-
სტიტუტი გატყობინებთ, რომ ამხ. აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძემ
წარმატებით ჩააბარა გამოცდები ინსტიტუტის მიზნობრივ ასპირან-
ტურაში.

მიზნობრივ ასპირანტურაში ჩარიცხვისთვის 3 წლის ვადით ამხ. ა.
გ. ჯინჭარაძემ უნდა გააფორმოს დათხოვნა, მიიღოს სრული ანგა-
რიშსწორება შრომის ნიგნაკში მითითებით „განთავისუფლებულია
მიზნობრივ ასპირანტურაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით“, მოიხ-
სნას სამხედრო აღრიცხვიდან, ამოწმოს საცხოვრებელი ადგილი-
დან და ჩავიდეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიო-
ლოგიის ინსტიტუტში (ქ. მოსკოვი, ვავილოვის ქ. 32) ასპირანტურის
გასავლელად, არა უგვიანეს ამა წლის 12 ნოემბრისა.

ასპირანტურის გამგე: ზ. ა. პანფეროვა

სსრკ მეცნიერებათა აკადემია
მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტი

ქ. მოსკოვი, ვავილოვის ქ. 32 1984 წლის 5 დეკემბერი

სამუშაო სამუშაო ადგილზე: საქართველოს სსრ მცენარეთა ბიო-
ქიმიის ინსტიტუტი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური
ბიოლოგიის ინსტიტუტი აგზავნის ინსტიტუტის ბრძანებიდან ამო-

ნაწერს აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძის მიზნობრივ ასპირანტურაში ჩარიცხვის შესახებ 1984 წელს.

ასპირანტურის გამგე

ზ. ა. პანფეროვა

**98/კ ბრძანებიდან ამონაწერი
სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტი**

ქ. მოსკოვი

1984 წლის 15 ნოემბერი

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის მიმღები კომისიის 1984 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ჩარიცხოს მიზნობრივ ასპირანტურაში წარმოებიდან მოწყვეტით 1984 წლის გეგმის მიხედვით, დამტკიცებული სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1983 წლის 30 დეკემბრის განკარგულებით 10105-2125 მათ, ვინც წარმატებით ჩააბარეს მისაღები გამოცდები:

2. აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძე სპეციალობით „მოლეკულური ბიოლოგია“ – 03.00.03 როგორც სამეცნიერო კადრების მომზადება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტისთვის 1984 წლის 21 ნოემბრიდან 3 წლის ვადით (1987 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით) და დადგინდეს სტიპენდია 85 მან. ოდენობით თვეში.

ასპირანტ ა. გ. ჯინჭარაძის სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ. კორ. გ. პ. გეორგიევი.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ამხ. ა. გ. ჯინჭარაძე მივლინებულ იქნას ძირითად სამუშაო ადგილზე.

საფუძველი: ასპირანტურაში მიღების გეგმა, დამტკიცებული სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1983 წლის 30 დეკემბრის განკარგულებით 10105-2125, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის მიმღები კომისიის 1984 წლის 31 ოქტომბრის ოქმი და 28.06.84 წლის წერილი 801/443.

ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ. კორ.

ასპირანტურის გამგე

ა. დ. მირზაბეკოვი

ზ. ა. პანფეროვა

სსრკ მეცნიერებათა აკადემია
მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტი

ქ. მოსკოვი, ვავილოვის ქ. 32

1987 წლის 26 ნოემბერი

(შეტყობინება სამუშაო ადგილზე მიხედვით) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი მიზნობრივ ასპირანტურაზე

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტი აგზავნის თქვენს განკარგულებაში აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძეს, რომელმაც დაამთავრა მიზნობრივი ასპირანტურა 1987 წლის 20 ნოემბერს სპეციალობით „მოლეკულური ბიოლოგია“ – 03.00.03.

ასპირანტურის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძეს მიეცა შვებულება 1 თვის ვადით.

ამხ. ა. გ. ჯინჭარაძე ვალდებულია ჩავიდეს სამუშაო ადგილზე არა უგვიანეს 1987 წლის 23 დეკემბრისა.

საფუძველი: ამონაწერი ასპირანტების განაწილების უწყისიდან, დახასიათება, შრომის წიგნაკი

ასპირანტურის გამგე

ზ. ა. პანფეროვა

დახასიათება

**აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძის, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
მოლეკულური ბიოლოგიის ასპირანტის**

აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძე, დაბადებული 1961 წელს, ქართველი, კომკავშირელი, 1983 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტი და განაწილებული იყო საქართველოს სსრ მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში.

1983 წელს ა. გ. ჯინჭარაძე მივლინებული იქნა სამუშაო ადგილზე მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში სტაჟიორად. 1984 წელს აბარებს მიზნობრივ ასპირანტურაში. იმყოფებოდა რა ასპირანტურაში ნუკლეინის მჟავების ბიოსინთეზის ლაბორატორიაში ა. გ. ჯინჭარაძე დაკავებული იყო ევოლუციურად კონსერვატიული განმეორებადი თანმიმდევრობების შესწავლით. ასპირანტურაში სწავლის დროს ა. გ. ჯინჭარაძემ თავი გამოავლინა როგორც დამოუკიდებელ-

მა მკვლევარმა, რომელსაც ჰქონდა კარგი თეორიული მომზადება და ფლობდა მოლეკულური ბიოლოგიის თანამედროვე მეთოდებს. ასპირანტურის დამთავრების მომენტისთვის სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ექსპერიმენტები მის მიერ იქნა დასრულებული და მომზადებული დისერტაციის დაცვისათვის. სამუშაოს შედეგების მიხედვით გამოქვეყნებულია 2 სტატია, მონაწილეობა მიღებულია სამ საკავშირო სიმპოზიუმში (მოხსენებათა თეზისები გამოქვეყნებულია).

ნუკლეინის მუჟავების ბიოსინთეზის ლაბორატორიის კოლოკვიუმმა რეკომენდაცია გაუწია ა. გ. ჯინჭარაძის დისერტაციულ ნაშრომს „დნმ-ის ევოლუციურად კონსერვატიული განმეორებადი თანმიმდევრობები და მათი გამოყენება გენომური „დაქტილოსკოპიისათვის“ დაცვაზე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სპეციალიზირებულ სხდომაზე ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სპეციალობით 03.00.03 მოლეკულური ბიოლოგია.

დახასიათება მიეცა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლის ადგილას, ძირითად სამუშაო ადგილზე წარდგენისათვის.

**სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის
დირექტორის მოადგილე, ბიოლოგიურ მეცნ. დოქტორი ა. ვ. ზელენინი**

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი
ბრძანება 37-ვ**

ქ. თბილისი

28 სექტემბერი 1987წ.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურის კურსდამთავრებული აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძე მიზნობრივი დანიშნულებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტისათვის, რომელმაც დაამთავრა და სპეციალიზირებულ საბჭოს გადასცა საკანდიდატო დისერტაცია, დაინიშნოს უმცროს მეცნიერ თანამშრომ-

ლად ნუკლეინის მჟავების ლაბორატორიაში ა.ნ. 2 ნოემბრიდან. ხელფასი 150 (ასორმოცდაათი) მანეთი თვეში.

საფუძველი: ნუკლეინის მჟავების ლაბორატორიის გამგის თ.ბერიძის განცხადება.

**დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი**

ნ. ნუცუბიძე

1988 წლის 24 თებერვალს 27 წლის აპოლონ ჯინჭარაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „დნმ-ის ევოლუციურად კონსერვატიული განმეორებადი თანმიმდევრობები და მათი გამოყენება გენომურ „დაქტილოსკოპიაში“.

ნაშრომი შესრულდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის ნუკლეინის მჟავების ბიოსინთეზის ლაბორატორიაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ალექსი პეტრეს ძე რისკოვი.

დაცვა შედგა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტთან არსებული სპეციალიზირებული საბჭოს სხდომაზე, შემდეგ მისამართზე: 117984, მოსკოვი, ვავილოვის ქ. 32. საბჭოს გადანიშნულებით, აპოლონ ჯინჭარაძეს მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობისას აპოლონ ჯინჭარაძემ აღმოაჩინა ახალი ზონდი ერთ-ერთი ბაქტერიოფაგის (13) საფუძველზე, რომელიც უნივერსალური აღმოჩნდა ცოცხალი სამყაროს მიმართ.

მომყავს ორი მეტად მნიშვნელოვანი, შემაჯამებელი პუბლიკაცია სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით. პირველი ეს გახლავთ:

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოხსენებები 1987 ტომი 295 1.
ცალკე ამონაბეჭდი.

ა. გ. ჯინჭარაძე, პ. ლ. ივანოვი, ა. პ. რისკოვი. გენომური „დაქტილოსკოპია“. ადამიანის გენომის კლონირებული თანმიმდევრობის JIN 600-ის დახასიათება, რომელსაც 13 ვექტორის შემადგენლობაში გააჩნია დნმ-ის მაღალპოლიმორფული მარკერის თვისებები (წარდგენილია აკადემიკოს ა. ა. ბაევის მიერ 20 V 1987).

და მეორე სტატია:

სხვადასხვა ტაქსონომიური ჯგუფის ორგანიზმების გენომური „დაქტილოსკოპია“: საჰიბრიდიზაციო სინჯად 13 ფაგის დნმ-ის გამოყენება. (ა. პ. რისკოვი, ა. გ. ჯინჭარაძე, მ. ი. პროსნიაკი, პ. ლ. ივანოვი, ს. ა. ლიმბორსკაია)

სტატიის ანოტაციაში ნათქვამია: „გენომის ჰიპერვარიაბელური მონაკვეთები, გამოვლენილი 13 ფაგის დნმ-ის დახმარებით, აღმოჩენილია ორგანიზმებისათვის ტაქსონომიური ჯგუფების ფართო დიაპაზონში – პროკარიოტებიდან და უმდაბლესი ეუკარიოტებიდან დაწყებული უმაღლეს მცენარეებამდე და ცხოველებამდე, ადამიანის ჩათვლით. ნაჩვენებია, რომ გენომური „დაქტილოსკოპიის“ მეთოდი, დაფუძნებული მაღალ ინდივიდუალურ პოლიმორფიზმზე, სომატურ სტაბილურობაზე და ადამიანის გენომის ჰიპერვარიაბელური მონაკვეთების მემკვიდრეობით გადაცემის ხასიათზე, საშუალებას იძლევა ის გამოვიყენოთ ადამიანის გენეტიკის მრავალი მიზნისთვის, მათ შორის გამოყენებითიც: ინდივიდუუმების იდენტიფიკაცია, მამობის და დედობის განსაზღვრა, ოჯახური ანალიზისა და სხვა.

ჰიპერვარიაბელური მონაკვეთების ანალიზმა ცხოველებში როგორც ხერხემლიანთა (თაგვი, ხარი, ცხვარი, ღორი, ბოცვერი, წინილა, ხლაკუნა), ასევე უხერხემლოთა (დროზოფილა, ბაზი, პარკხვევია, ფოთოლჭამია, ტარაკანი, ჭიკაყლა, უკბილო (მტკნარი ნყლის მოლუსკი, რომლის ორმხრივ ნიჟარას არ გააჩნია ჩამკეტი აპარატი კბილების სახით – ბ.ჯ.)), მცენარეებში (ფორთოხალი, ბამბა, ტრიფოლიატა, ხორბალი, ქერი), ასევე, საფუარებში და ბაქტერიებში დაამტკიცა გენომური „დაქტილოსკოპიის“ გამოყენების პერსპექტიულობა სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და მცენარეების გენეტიკისა და სელექციისთვის, ინბრედული ხაზების, ჯიშების და სორტების პასპორტიზაციისთვის, სუფთაჯიშიანი შთამომავლობის გადარჩევისთვის, სახეობათშორისი და სორტათშორისი განსხვავებების განსაზღვრისათვის, ასევე ბაქტერიების იდენტიფიკაციისთვის და მათი ევოლუციური ნათესაობის განსაზღვრისთვის“.

მოკუსმინოთ აპოლონის სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ რეცენზენტს, ბიოლოგიის მეცნიერების დოქტორს, პროფესორს **ი. პ. ვინეცკის**: „დისერტაციის ანალიზის შეჯამების შედეგად, უნდა აღინიშნოს, რომ მისი ავტორის მიერ შესრულებულია დასრულებული სამეცნიერო გამოკვლევა, რომელსაც გააჩნია დამთავრებული ხასიათი. მაღალ მეთოდურ დონეზე პირველად მსოფლიო მეცნიერებაში აღმოჩენილია სხვადასხვა ტაქსონომიური კუთვნილების ორგანიზ-

მის გენომში ევოლუციურად კონსერვატიული მონაკვეთების ჰიპერვარიანობის მოვლენა. მიღებულ შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დაწესებულების სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობისათვის“...

1988 წლის 2 მაისის გაზეთი „იზვესტია“ სტატიაში „გენების კიდევ ერთი საიდუმლო“ წერდა:

„სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში იპოვეს ნებისმიერი ცოცხალი არსების გენეტიკური „პორტრეტის“ მიღების მეთოდი. და უკვე ეს ცოცხალი არსება სხვა არცერთში არ აგერევა, თუნდაც ერთმანეთს ძლიერ ჰგავდნენ გარეგნულად. აი, ამიტომ მეთოდს ეწოდა „გენური დაქტილოსკოპია“, თითების ანაბეჭდებით პიროვნების დადგენის ანალოგიის მსგავსად.

პირველი ასეთი გენეტიკური პორტრეტი – ადამიანის – გააკეთა ინგლისელმა მეცნიერმა ა. ჯეფრიზმა, – გვიხსნის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. რისკოვი. მან ადამიანის მემკვიდრული მასალის მოლეკულებში აღმოაჩინა მონაკვეთები, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ მოცემული ინდივიდისთვის. საქმე იმაშია, რომ დნმ-ის მოლეკულათა აგებულება, რომლებიც ატარებენ გენეტიკურ ინფორმაციას, ერთი სახეობის ყველა ცოცხალი არსებისთვის ერთნაირია. მაგრამ ზოგიერთი ზონები, რომლებიც მიმოფანტულია მთელი მოლეკულის გასწვრივ, თითოეულში მეორდება სხვადასხვა თანმიმდევრობით და შეხამებით, ვარირებენ. აი სწორედ ისინი, რომელთა გამჟღავნებაც ხდება რადიოაქტიური სინჯის მეშვეობით, ხდებიან „პირადობის მონიშვნად“, ამასთან სხვადასხვა ადამიანში ასეთი მონაკვეთების ნაკრების დამთხვევის ალბათობა – ერთია ასეულობით მილიარდზე, ანუ პრაქტიკულად ნულოვანია. გამონაკლისს შეადგენენ ერთკვერცხიანი ტყუბები.

რაში მდგომარეობს საკუთრივ ჩვენი ნაშრომის თავისებურება? უპირველეს ყოვლისა ჩვენ ვიპოვეთ ახალი ზონები, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა ერთბაშად „დაგვენახა“ ბევრი განმასხვავებელი წერტილი. უნდა ითქვას, რომ ინგლისელების მიერ დაპატენტებული სინჯი ხელმიუწვდომელი იყო სხვა ქვეყნების მკვლევრებისთვის. ჩვენი მარკერი აღმოჩნდა განსაზღვრული სახეობის ბაქტერიოფაგი, ამ მიკროორგანიზმის დნმ ხშირად გამოიყენება გენეტიკოსების ლაბორატორიულ პრაქტიკაში. მაგრამ, შევცვალებთ რა სტანდარტული პირობები ექსპერიმენტის, ჩვენ ამ ფაგში მოულოდნელად

აღმოვაჩინეთ ახალი თვისება... (ჩვენგან დამოუკიდებლად ასეთივე სინჯი მიიღო ბელგიელ მეცნიერთა ჯგუფმა გ.ვასარის მეთაურობით). ჩვენ ასევე დავამტკიცეთ, რომ კანონზომიერებანი, გამოვლენილი ადამიანის მემკვიდრულ მასალაში, დამახასიათებელია ყველა ცოცხალისთვის.

და ეს არის მთავარი, პრიორიტეტული შენაძენი საბჭოთა მკვლევარებისა მოცემულ სამეცნიერო მიმართულებაში, რამდენადაც აქედან გამომდინარეობს ძალიან ფართო შესაძლებლობები მეტოდის გამოყენებისა ბიოლოგიაში, მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში...

ლაბორატორიის თანამშრომლების თქმით, ისინი ახალ სინჯს ნაანჯდნენ, მუშაობდნენ რა სრულიად სხვა სამეცნიერო თემაზე. მაგრამ მისი გვერდითი რეზულტატი აღმოჩნდა განსაცვიფრებელი: ბაქტერიოფაგის დნმ შეიცავდა ისეთივე ვარიანტულ ზონებს, როგორც ადამიანის დნმ... ეს იმდენად მოულოდნელი იყო – მაინც ესოდენ სხვადასხვა ბიოლოგიური ობიექტებია! – რომ ჯგუფმა, შეაჩერა რა ძირითადი სამუშაო, ხელი მიჰყო გადამონმების ექსპერიმენტებს. ინსტიტუტის თანამშრომლებთან პ.ივანოვთან და ა.ჯინჭარაძესთან ერთად კვლევებში მონაწილეობდნენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური გენეტიკის ინსტიტუტის მეცნიერები ს.ლიმბორსკაია და მ. პროსნიაკი.“

მე მოვიყვანე სტატიის ძირითადი ნაწილი, რომლის ავტორიც ვახლავთ ლ. ივჩენკო. ეს სტატია, როგორც ზემოთ ითქვა, დაწერილია 1988 წელს. ამ დროისთვის აპოლონი მხოლოდ 27 წლისაა. მისი ცხოვრება, სამწუხაროდ, თურმე დასასრულს უახლოვდებოდა. მოსკოვში გატარებული წლები უმძიმესია დაძაბულობის თვალსაზრისით. თავდაპირველი სადისერტაციო თემა, რომელიც ა. რისკოვმა შეურჩია, არ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი. ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა მოახსენა ამის შესახებ თავის სამეცნიერო ხელმძღვანელს. ა. რისკოვს, როგორც ჩანს, ეს არ ესიამოვნა და ნამოწილდა კიდევ და ნიშნისმოგებით უთხრა: დაამტკიცე! აპოლონმა დაუმიტკიცა! მაგრამ ეს არ იყო შვება აპოლონისთვის... იგი მოსკოვში საქმის გასაკეთებლად ჩავიდა და არა შეცდომების გასწორებისთვის. ასე იყო თუ ისე, მისთვის განკუთვნილი დროის პერიოდი შემცირდა და აპოლონი დღე და ღამე ლაბორატორიაში მუშაობდა, რომ დროში ჩატეულიყო. და აი ამ ფორსირებული მუშაობის პერიოდში აპოლონი აღმოაჩენს 13 ფაგის უნივერსალურ თვისებას. აღსანიშნავია, რომ ა.რისკოვი

პრივატულ საუბრებში დიდად აფასებდა აპოლონს და თანამშრომლებს ხშირად ეუბნებოდა: „აპოლონმა რასაც მიაღწია, მხოლოდ და მხოლოდ თავისი განსაკუთრებული თვისებების ხარჯზე“-ო.უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ა. რისკოვი მიღებულ შედეგებს ჩინებულად ანალიზებდა, აფასებდა და შესაბამის ფორმულირებას აძლევდა. ამ ყველაფერს აპოლონის მონათხრობიდან მოგახსენებთ.

აპოლონი ძალიან შრომისმოყვარე იყო. ყოველ შემთხვევაში, შეეძლო ყველა სხვა საქმე გვერდზე გადაედო და სამუშაოზე მოეხდინა კონცენტრაცია. განათლებულობა, შრომისმოყვარეობა, დაკვირვებულობა, მახვილგონიერება, თავდადება – ეს ის თვისებები იყო, რამაც აპოლონი მიიყვანა წარმატებამდე. ამასთან, აპოლონი საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდა.

იმის საილუსტრაციოდ, რომ ეს არ იყო კოლექტიური აღმოჩენა, მოვიყვან ა. რისკოვის წერილს, რომელიც მან აპოლონის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში მის მშობლებს გამოუგზავნა მოსკოვიდან:

„ძვირფასო აპოლონის მშობლებო! გწერთ თქვენ რისკოვი ალექსი პეტრეს ძე. ვსარგებლობ შემთხვევით, მე ვაგზავნი დიპლომს აპოლონის აღმოჩენაზე და ფულს. სამწუხაროდ, თანხა მართლაც მცირეა (ის ინდექსაციას არ ექვემდებარება). თუმცა, დოკუმენტების გაფორმებაზე მუშაობა არ იყო ტყუილუბრალო. დიპლომი წარმოადგენს აპოლონის ნაშრომის მნიშვნელობის ოფიციალურ გამოხატულებას და, გარდა ამისა, შეიძლება უზრუნველყოს გარკვეული შემოსავალი თქვენი ოჯახისთვის ჩვენი მეთოდის კომერციული გამოყენების შემთხვევაში.

მე მინდა თქვენ გადმოგცეთ აპოლონის ყველა მეგობრისგან, ჩემი მეუღლისგან და ჩემგან დიდი მოკითხვა და ყველაზე კეთილი სურვილები. თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ იმედი გქონდეთ ჩვენი დახმარების და მხარში ამოდგომის.“

როგორც ცნობილია, მეთოდი ეფუძნება აპოლონის აღმოჩენას და ზოგადად აპოლონის სადისერტაციო ნაშრომს, აქედან გამომდინარე, ლოგიკურია მეთოდსაც ვუნოდოთ „აპოლონის მეთოდი“ და არა როგორც ბატონი რისკოვი წერს – „ჩვენი მეთოდი“. აქ ის ბალანსირებას ახდენს, სურს, არც მწვადი დაწვას და არც შამფური. თან ამბობს, რომ აპოლონის აღმოჩენაა და ნაშრომი, და თან გვეუბნება, რომ მეთოდი ჩვენია. ამასაც იმიტომ აკეთებს, რომ ჩვენი ოჯახისადმი თხოვნა აქვს, რომ მას გადავცეთ მინდობილობა მეთოდის საქმეთნარმოებაზე.

ჩვენი ოჯახი აპოლონის გარდაცვალების გამო გაოგნებული იყო. ა. რისკოვი კი ცდილობდა სწრაფად მოეგვარებინა ეს საქმე და არც დაუყოვნებია. მამაჩემი არ იყო ის კაცი, რომ მისთვის უარი ეთქვა და პირადად მას გადასცა მინდობილობა ამ გამოგონების საქმეთან- მოებაზე, თუმცა არც ერთი კაპიკი ჩვენს ოჯახს ამ საქმიდან აღარ მიუღია. ხოლო მამინ, როდესაც მეცნიერთა ჯგუფს მიენიჭა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემია, ამის შესახებ ჩვენმა ოჯახმა გაიგო ბატონ თენგიზ ბერიძისგან, მამინ, როცა თუ უმოკლეს პერიოდში არ იქნებოდა კუთვნილი თანხა აღებული, ის გადაირიცხებოდა რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტში. მართალია, იმ დროს ჩვენი ოჯახი ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა, მაგრამ თითოეული წევრისთვის მნიშვნელოვანი იყო აპოლონის ესოდენ დიდი აღიარება და არა რუსეთიდან მიღებული რაღაც თანხა. აქვე მაღლიერებით მინდა მოვიხსენიო მოსკოვში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, ბატონი გივი მაცაბერიძე, რომელმაც უზრუნველყო აპოლონის სახელზე გაცემული დიპლომის, თანხის და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ოქროს მედლის საქართველოში ჩამოტანა.

მოგვიანებით, როდესაც მე ინტერნეტის საშუალებით მივაგენი ა. რისკოვის საკონტაქტო ტელეფონის ნომრებს (ბატონმა რისკოვმა ბინაც შეიცვალა და მასთან ერთად ტელეფონის ნომერიც), ვესაუბრე და ვუსაყვედურე კიდევ – თუ რატომ არავინ არ დარეკა და არ შეგვატყობინა, რომ აპოლონს მიენიჭა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემია: ჩვენს ოჯახს ეს ხომ გაუხარდებოდა და არ ეწყინებოდა და რატომ უნდა გაგვეგო ეს ბოლო წუთებში-მეთქი... მან ვერაფერი მიპასუხა, მხოლოდ ის მკითხა, თქვენ ისევ იქ ცხოვრობთო. მან ისიც კი არ იცოდა, სად ვცხოვრობდით და „დახმარებაზე და მხარში ამოდგომაზე“ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საერთოდ, გამაოცა ამ ადამიანის მსჯელობამ: საბჭოთა კავშირი დაიშალა და თქვენ სხვა ქვეყანა ხართ და ჩვენ სხვაო. მისი ლოგიკით, ამ ფონზე თურმე უნდა შეწყდეს ყოველგვარი ურთიერთობა ორი ქვეყნის მოქალაქეებს შორის, წარსულში მათი ნაცნობობისა თუ მეგობრობის მიუხედავად. არა მგონია ბატონი რისკოვი ასეთი პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანი იყოს, უბრალოდ იმ მომენტში ამაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა.

იმ პერიოდში ასევე ინტერნეტის საშუალებით მოვიძიე ინფორმაცია პაშა ივანოვზე. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ 1996 წელს მან ჩამოაყალიბა ჯგუფი, რომელიც დაკავებული იყო გენეტიკური პრობ-

ლემებით. ყველგან აღნიშნული იყი, რომ იგი არის რუსეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და ლამის გენეტიკური დაქტილოსკოპიის ფუძემდებელი ყოფილ საბჭოთა კავშირში. არცერთი სიტყვა აპოლონზე. ასეთი ბიოგრაფიით წარუდგა იგი მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებას, ხოლო მისმა კვლევებმა ნიკოლოზ მეორის და მისი ოჯახის ნევრების ნარჩენების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით, მას მსიოფლიო პოპულარობა მოუტანა. არ დარჩენილა არცერთი სამეცნიერო თუ პოპულარული გამოცემა, რომელიც ამ ფაქტს არ გამოხმაურებოდა.

საერთოდ აპოლონს კარგი ურთიერთობა ჰქონდა თანამშრომლებთან, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან. აკადემკოსმა გეორგიევმა მოსკოვიდან წამოსვლის წინ ისიც კი უთხრა: „თუ ოდესმე რაიმე მიზეზით გადაწყვეტ ჩვენთან დაბრუნებას, იცოდე, რომ შენ აქ ადგილი ყოველთვის გექნებაო“. ამიტომ მე პირადად ძალიან გამიკვირდა, რომ ასე მიჩუმათებით მოხდა ჯგუფისთვის პრემიის გადაცემა. ვგულისხმობ, რომ აპოლონის ოჯახს ამასთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაცია არ მიაწოდეს (პრემიის მინიჭება მოხდა 1996 წლის 18 ივნისს, ხოლო ჩვენი ოჯახი ამ ამბავს იგებს ამავე წლის 14 ნოემბერს). მე პირადად ვიცნობდი პაშა ივანოვს, ბატონი რისკოვიც ჩვენი ოჯახისთვის უცხო არ იყო. ნუთუ ასე ძნელი იყო ერთი სატელეფონო ზარის განხორციელება?! მე ამასთან დაკავშირებითაც მაქვს ჩემი ვარაუდი, მაგრამ მკითხველს ჩემი ვარაუდებით თავს აღარ შევანყენ.

მას შემდეგ, რაც აპოლონმა დაასრულა სადისერტაციო ნაშრომი, სურდა, მალე დაეცვა და დაბრუნებულიყო საქართველოში. სხვაგვარად ფიქრობდა ბატონი რისკოვი. ის აპოლონს ეუბნებოდა: „მთავარია სამუშაო დაამთავრე და დაცვა საჩქარო არ არისო. დარჩი აქ, იმუშავე და მერე დაიცავ – რა გაჩქარებსო“. თუმცა თბილისში მყოფ აპოლონს სწავლულმა მდივანმა შეატყობინა, რომ თუ გარკვეულ ვადაში მოახერხებდა ავტორეფერატის დაწერას, უმოკლეს ხანში დაცვაც მოესწრებოდა.

აპოლონმა გასაკეთებელი გააკეთა და დაცვაც შედგა, თუმცა მას ბატონი რისკოვი არც კი დასწრებია. შემდგომ აპოლონისთვის უთქვამს: „მე ისედაც ვიცოდი, კარგად რომ დაიცავდიო“.

მომდევნო წელს, 1989 წლის 23 იანვარს, იგივე გაზეთი „იზვესტია“, სტატიაში „ვინ ვისი დედაა?“ უკვე იუნწყებოდა ახლად აღმოჩენილი მეთოდის პრაქტიკულ გამოყენებაზე.

ამის შესახებ ასევე წერდნენ ჟურნალები: „პრიროდა“ (1988 წ. 3), „ხიმია ი ჟიზნ“ (1988 წ. 4). ამ ფაქტს გამოეხმაურნენ „მედიცინისკაია გაზეტა“ (1988 წ. 19 მაისი) და გაზეთი „ტრუდ“ (1991წ. 16 მაისი).

აპოლონს, რა თქმა უნდა, სთავაზობდნენ დარჩენილიყო მოსკოვში – დოქტორანტურაში. ამასთან დაკავშირებით ჩვენს ოჯახში ინახება ხელნაწერი აპოლონის დახასიათებისა, რომელიც სავარაუდოდ ოფიციალურ სახეს მიიღებდა, თუ აპოლონი დარჩენაზე თანხმობას განაცხადებდა. მისი ავტორი გახლავთ ალექსი რისკოვი. აი ეს ხელნაწერიც:

„ა. გ. ჯინჭარაძის დახასიათება, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტის – ასპირანტურაში შესვლამდე ა. გ. ჯინჭარაძე იყო რა დასაწყისში დიპლომანტი, შემდეგ სტაჟიორი, მონაწილეობას ლეზულობდა ამჟამინდელ სამუშაოში პროექტის – ადამიანის გენები და მემკვიდრეობითი დაავადებები, რომელსაც ჩვენ ვატარებდით ს. ა. ლიმბორსკაიასთან ერთად. შედეგად ის გახდა რამდენიმე პუბლიკაციის თანაავტორი და რეკომენდებულ იქნა ასპირანტურაში. ახალი თემა ევოლუციურად კონსერვატიული განმეორებადი... თავიდანვე ატარებდა ძიებით ხასიათს და ერთდროულად მოითხოვდა უმაღლეს ტექნიკურ დონეს. კერძოდ, ჯინჭარაძემ დამოუკიდებლად აითვისა სეკვენირება სენგერის მიხედვით და განსაზღვრა ადამიანის გენომის JIN600 ფრაგმენტის პირველადი სტრუქტურა (აპოლონმა ამ ფრაგმენტის სახელწოდებაში გამოიყენა თავისი გვარის პირველი სამი ასო ინგლისურ ენაზე JIN – ბ.ჯ.). გარდა ამისა, მან სრულყოფილად აითვისა დიდი კომპლექსი თანამედროვე მეთოდებისა – დნმ-ის კლონირება, გენების ბიბლიოთეკასთან მუშაობა, ბაქტერიების პოსტ-ჰიბრიდიზაციის სხვადასხვა ვარიანტები. ამასთან მის მუშაობას ახასიათებდა არა უბრალოდ მაღალი ტექნიკა, არამედ განსაზღვრული არტისტიზმი, შესრულების ესთეტიკური არანჟირება, რომელიც როგორც ცნობილია განასხვავებს ნამდვილ შემოქმედებას ჩვეულებრივი შემსრულებლობისაგან. ჯინჭარაძის სხვა თვისებები მოიცავს უმაღლეს ინტელექტუალურ უნარს, შრომისმოყვარეობას, პასუხისმგებლობას დაკისრებულ საქმეზე და კეთილმოსურნეობას გარშემო მყოფდამი. გასაკვირი არ არის, რომ ყველაფერი ეს მას დაეხმარა წარმატებით შეესრულებინა დასახული მიზნები. ა.გ. ჯინჭარაძის სახით, ჩვენ გვყავს მაღალი კლასის სპეციალისტი და მე დარწმუნებით შემიძლია მას რეკომენდაცია გავუწიო შემგომი დოქტორანტურის გასაველეად“.

ვერაფერს იტყვი, უმაღლესი შეფასებაა აპოლონის როგორც მეცნიერის და როგორც ადამიანის. თუმცა რა მიზნები იყო დასახული და რა სიმაღლეებზე გავიდა აპოლონი, ბატონი რისკოვი არ აკონკრეტებს. არადა შეიძლებოდა; მისი შედეგები ხომ ნამდვილად არ იყო ორდინარული.

1988 წელს აპოლონი საქართველოში დაბრუნდა და მუშაობა განაგრძო ს. დურმიშიძის სახ. მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში (დირექტორი აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე) მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

1988 წელს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ (3, გვ.37-39) გამოქვეყნდა აპოლონ ჯინჭარაძის სტატია: „გენეტიკური „დაქტილოსკოპია“ სამართლის სამსახურში“. აი რას წერს იგი ამ სტატიაში:

„ბოლო ათწლეულში მოლეკულური ბიოლოგიის, კერძოდ, გენური ინჟინერიის მეთოდებმა ფართო გამოყენება პოვეს მედიცინაში, ფარმაცოლოგიაში, ბიოტექნოლოგიაში და სოფლის მეურნეობაში. 1985 წელს, ინგლისში, ლესტერის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერმა ალექ ჯეფრიზმა თანამშრომლებთან ერთად მიიღო მოულოდნელი შედეგები, რომლებმაც კრიმინალისტურ ბიოლოგიაში რევოლუცია მოახდინეს.

როგორც ცნობილია, გენეტიკური ინფორმაცია ინახება დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის (დნმ) მოლეკულებში. თავის მხრივ დნმ შედგება ოთხი სახის ნუკლეოტიდისაგან, რომლებიც გარკვეული სიგრძისა და შემადგენლობის თანმიმდევრობებს ქმნიან. ადამიანის გენომი 3×10^9 წყვილი ნუკლეოტიდისაგან შედგება. გენომში გვხვდება როგორც უნიკალური (ერთი ასლით წარმოდგენილი), ასევე განმეორებადი თანმიმდევრობები. ჯეფრიზმა ადამიანის გენომიდან გამოყო ნუკლეოტიდთა რამდენიმე განმეორებადი თანმიმდევრობა. განმეორებადი თანმიმდევრობები, როგორც წესი, არაინფორმაციულია ანუ ცილას არ კოდირებენ. როგორც შემდგომ გამოიჩვენა, გამოყოფილი ფრაგმენტები ყველა ადამიანისთვის უნიკალური აღმოჩნდა. ამგვარად, მიღებულია რამდენიმე მოლეკულური ზონდი, რომლის საშუალებითაც შეიძლება მოხდეს პიროვნების იდენტიფიცირება.

ორიოდე სიტყვით მეთოდოლოგიური მხარის შესახებ: ანალიზის ჩასატარებლად გამოდგება ადამიანის სხვადასხვა ქსოვილი, ეს იქნება წვეთი სისხლი, თმის ბოლქვები და სხვ. ქსოვილიდან საჭიროა გამოიყოს დნმ, დაიჭრას რესტრიქტაზებით (ფერმენტები, რომლებიც დნმ-ს ჭრიან სპეციფიკურ ადგილებში), დაჭრილი დნმ-ს ფრაგ-

მენტების ზომების მიხედვით დანაწილება ხდება ელექტროფორეზის კამერაში, აგაროზის გელში. ამის შემდეგ ფრაგმენტებს სპეციალურ ფილტრის ქაღალდზე აფიქსირებენ. რადიოაქტიური ფოსფორით მონიშნულ დნმ-ის ზონდს აჰიბრიდიზირებენ ასეთ ფილტრთან და რენტგენის ფირზე მიიღება ე.წ. ჰიბრიდიზაციული ზოლები. იმის გამო, რომ ერთი და იგივე ადამიანის სხვადასხვა ქსოვილებიდან გამოყოფილი დნმ ერთნაირ ჰიბრიდიზაციულ ზოლებს იძლევა, ექსპერტიზის დროს შეიძლება ერთმანეთს შედარდეს სხვადასხვა ქსოვილთა დნმ-ის პრეპარატები. თუ ჰიბრიდიზაციული ზოლები ერთმანეთს დაემთხვა, ეს იმას ნიშნავს, რომ დნმ-ის პრეპარატები, რომელსაც ვაანალიზებთ, ერთ ადამიანს ეკუთვნის. შემთხვევითი დამთხვევის ალბათობა პრაქტიკულად ნულის ტოლია, ისევე, როგორც თითის ანაბეჭდების შემთხვევაში. მეთოდს სახელად ეწოდა „დნმ-ის ანაბეჭდების“ მეთოდი, სხვანაირად, გენური, გენეტიკური ან გენომური „დაქტილოსკოპია“. ზემოთ მოყვანილი მეთოდის საშუალებით შეიძლება ჩატარდეს ოჯახური ანალიზიც ე.ი. ზუსტად დადგინდეს მამობა და დედობა. ამისათვის საჭიროა ბავშვისა და მშობლების სისხლიდან გამოყოფილი დნმ-ის ერთდროული ანალიზი. როგორც ცნობილია, შვილი გენეტიკური ინფორმაციის ნახევარს დედისგან იღებს, ნახევარს კი მამისგან. შესაბამისად, ამ მეთოდით დეტექტირებული ჰიბრიდიზაციული ზოლების ნახევარი მამის ზოლებს უნდა დაემთხვეს, ნახევარი კი დედისას.

შარშან ინგლისში, მსოფლიოში პირველად მოეწყო სასამართლო პროცესი და დამნაშავეს, რომელმაც ძალადობა იხმარა ქალზე სასჯელი დნმ-ის ანალიზის მიხედვით მიუსაჯეს, მაშინ, როცა არ არსებობდა არავითარი სხვა სამხილი. ანალიზის შედეგად მიღებული ჰიბრიდიზაციული ზოლების შემთხვევითი დამთხვევის ალბათობა შეადგენდა ერთს ოთხ მილიონ ადამიანზე.

ახლახანს ცნობილი გახდა, რომ 13 ფაგის დნმ, ისევე, როგორც ჯეფრიზის ზონდები, შეიძლება გამოყენებულ იქნას გენეტიკური „დაქტილოსკოპიის“ მიზნებისათვის. ველური ფაგის დნმ-ში აღმოჩნდა თანმიმდევრობები, რომლებიც სხვა ნუკლეოტიდური შემადგენლობისაა, მაგრამ ისეთივე სტრუქტურა გააჩნია, როგორც ჯეფრიზის თანმიმდევრობებს.

ზემოთ მოყვანილ აღმოჩენებს თავისი მნიშვნელობით, თითის ანაბეჭდების მეთოდის შემდეგ, რომელიც 1901 წელს დაინერგა, წარმოუდგენლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მეთოდით შეიძლე-

ბა დამნაშავეების წინასწარი „პასპორტიზირება“, შეიქმნას გენეტიკური „კარტოთეკა“ და ხელახალი დანაშაულის შემთხვევაში, დანაშაულის ადგილიდან აღებული მასალის ანალიზით მოხდეს პიროვნების იდენტიფიცირება.

ბრიტანეთის პრესის მონაცემებით, ქვეყანაში უკვე ათამდე „გენეტიკური დაქტილოსკოპიის“ კაბინეტია. ერთი ანალიზი ღირს 110 ფუნტი სტერლინგი. დაგეგმილია ასეთი ლაბორატორიების მთელი ქსელის შექმნა. მეთოდი ფართოდ ინერგება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, გენეტიკურ „დაქტილოსკოპიას“ დიდ როლს ანიჭებენ არა მარტო კრიმინალისტებისთვის დახმარების საქმეში, არამედ, საერთოდ, დანაშაულებათა პროფილაქტიკის თვალსაზრისითაც.“

აპოლონის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მას დაურეკა ა. რისკოვმა და ამცნო, რომ აპირებდნენ აპოლონის ნაშრომის წარდგენას სახელმწიფო პრემიაზე და რაიმე საწინააღმდეგო ხომ არ ექნებოდა, რომ ლაურეატთა სიაში იქნებოდა დამატებით კიდევ რამდენიმე კაცი. მე იმ დროს განანილებით ვმუშაობდი ექიმად ბორჯომში. როგორც დედაჩემი იხსენებს, აპოლონმა იძულებითი თანხმობა განაცხადა და უთქვამს, თუ უარს ვიტყვი მათ წინადადებაზე, საერთოდ არაფერი იქნებაო. ბუნებრივია, აღიარება და დაფასება ყველა ნორმალურ ადამიანს სიამოვნებს და აპოლონი არ იყო ამ მხრივ გამონაკლისი. მართალია, მან განაცვიფრა თავისი შესაძლებლობებით და შეუპოვრობით იქაური სამეცნიერო წრეები, მაგრამ მხოლოდ მისთვის ასეთ აღიარებას რომ არავინ გაიმეტებდა, ამას კარგად აცნობიერებდა.

მართალია, ასეთი პრეცედენტი იყო ჩვენი ქართული ბიოლოგიური მეცნიერების ისტორიაში, როდესაც 1940 წელს დიდ ივანე ბერიტაშვილს მიანიჭეს სსრკ სახელმწიფო პრემია, მაგრამ ნურც ის დაგვაინყდება, რომ მაშინ დიდ იმპერიას წარმოშობით ქართველი კაცი მართავდა და ბატონ ივანეს თავის ღირსეულ ღვაწლს არავინ დაუკარგავდა.

ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნის დროს აპოლონს უთხრეს: შევცდით, შენი ნაშრომი სადოქტოროზე უნდა წარგვედგინა, მაგრამ არ იღარდო, სამაგიეროდ ერთ მშვენიერ დღეს წარვადგინთ სახელმწიფო პრემიაზეო. ასეც მოხდა. თუმცა არა მგონია ეს უნებლიე შეცდომა ყოფილიყო. აქ ყველაფერი ზედმიწევნით იყო გათვლილი. თუ აპოლონს დოქტორის ხარისხი მიენიჭებოდა, ეს იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ მისი კუთვნილება, ხოლო სახელმწიფო პრემიაზე წარდგენის შემთხვევაში, ამით ბევრი მათგანი იხეირებდა. არადა ნაშრომი თავისი მნიშვნელობით, ამას ამკარად იმსახურებდა. თუმცა, ის უკვე

ალარ ვიცი, სადოქტორო დისერტაციის დაცვა რატომ გამორიცხავედა სახელმწიფო პრემიაზე წარდგენას. სავარაუდოდ, ვფიქრობ, რომ დოქტორის ხარისხის პირდაპირი მინიჭება იმაზე მეტად გაზრდიდა აპოლონის ავტორიტეტს, ვიდრე ეს მის გარემოცვას სურდა და, ვინ იცის, მათ იმის შიშიც კი ჰქონდათ, რომ უკვე სახელმძღვანელო აპოლონი არც დათანხმდებოდა სახელმწიფო პრემიაზე მეცნიერთა ჯგუფის წარდგენას. ლაურეატთა სიაში მოხსენიებულ მეცნიერთა გვარები მე ხშირად გამიგია უშუალოდ აპოლონისგან. გეორგიევი, რისკოვი, ლიმბორსკაია... ლიმბორსკაია რისკოვის მეუღლე გახლდათ. ამ ქალბატონთან მუშაობდა პროსნიაკი. თავად აპოლონიც მოსკოვური კარიერის დასაწყისში მასთან მუშაობდა. ბუნებრივია, ესენი იყვნენ აპოლონთან მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანები – მისი სამეცნიერო ხელმძღვანელები, თანამშრომლები, რომლებისგანაც აპოლონმა ბევრი რამ ისწავლა. ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლაბორატორიის თანამშრომელთან პ. ლ. ივანოვთან. ბატონ პავლეს მეგობრულად პაშას ეძახდნენ. როდესაც 1988 წელს თელავში საკავშირო კონფერენცია ჩატარდა, პაშა ივანოვი მეუღლესთან – ტანიასთან ერთად თბილისში, ჩვენს ოჯახში ცხოვრობდა რამდენიმე დღით. თუმცა მახსოვს აპოლონის მონათხრობიც: „პაშამ მითხრა, კონფერენციაზე მე გამოვალო და ჩემს ნაშრომზე ამას როგორ მეუბნებო“, ანუ უკვე აპოლონის სიცოცხლეშივე იყო მცდელობა მისი შევინროებისა და მისი ღვანლის არდაფასებისა. თუმცა აპოლონი ამის შესახებ იშვიათად საუბრობდა, კაცმა არ იცის, მის გულში რა ტრიალებდა. უნებლიეთ მახსენდება ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთი ნაწარმოები, სადაც ლამაზი გოგოს გასაცვილებლად ხელის მოსაკიდებელი ადგილი რომ ალარ დარჩა. ასე იყო აპოლონის გენომური დაქტილოსკოპიის უნივერსალური მეთოდიც. უბრალოდ, ადგილი ალარ დარჩა კიდევ ვინმე რომ ჩაემატებინათ.

ერთადერთი, ვის შესახებაც არასდროს არაფერი მსმენია აპოლონისგან, ეს იყო ე. ი. როგაევი. როგორც ბატონმა თენგიზ ბერიძემ ამიხსნა: „როგაევი ცნობილი მეცნიერია, რომელსაც საკუთარი ზონდიც კი აქვსო აღმოჩენილი“ –ო. როგორც ჩანს, რუსეთის მაშინდელმა ხელისუფლებამ სახელმწიფო პრემია მიანიჭა ყველა იმ მეცნიერს, ვისაც ამ მიმართულებით სხვადასხვა დროს შრომა ჰქონდა განუხლები.

1989 წლის 4 მარტს აპოლონ ჯინჭარაძე მოულოდნელად გარდაიცვალა. მე მაშინ ბორჯომში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი. იმ დროს მობილური ტელეფონები არ იყო და კომუნიკაცია გაძნელებული იყო.

თუმცა გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე მქონდა მასთან სატელეფონო საუბარი. ამისათვის მიწვედა ლიკანის მე-4 სამმართველოს სანატორიუმში ჩასვლა, სადაც იყო ტელეფონ-ავტომატები. აპოლონმა მითხრა, რომ გაცივებული იყო და ყელი სტკიოდა, რის გამოც სოდიან სავლებებს ვიკეთებო. ის, რაც მოხდა 4 მარტს გამთენიისას, ჩემთვის უცნობი იყო. იმავე დღეს ჩემს წასაყვანად საკუთარი მანქანით ჩამოვიდა ჩემი მამიდაშვილი გია ჯაფარიძე, მამასთან, ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწესთან ბატონ რევაზ ჯაფარიძესთან ერთად. ჩვეულებრივი სამუშაო დღე მქონდა. ჩემი უახლოესი ნათესავების ნახვა ძალიან გამიხარდა. მახსოვს, გია სრულიად შემთხვევით სვანეთშიც კი შემხვდა და ბორჯომში მისი ნახვა არ გამკვირვებია, მაგრამ ჩამაფიქრა ბატონი რეზოს დანახვამ, რომელიც სანატორიუმის ეზოში ჩემს მთავარ ექიმს ესაუბრებოდა. მათი ჩამოსვლის მიზეზი თითქოს დედაჩემი იყო, რომელსაც უთხოვია: 8 მარტს, ჩემს დაბადების დღეზე, ბადრი ჩამომიყვანეთო. 8 მარტს ყოველთვის ხალისიანად აღნიშნავდა ჩვენი ოჯახი, მაგრამ დედა ჯაფარიძეებს ამ მოტივით რომ არ შეაწუხებდა, დანამდვილებით ვიცოდი. ისე ვიმგზავრეთ, ჩემთვის სიმართლე არ უთქვამთ. მე, რა თქმა უნდა, მივხვდი, რომ ჩვენს ოჯახში რაღაც უბედურება იყო და ვცდილობდი რამის დადგენას, მაგრამ უშედეგოდ. მოგვიანებით, ბატონი რეზო მეტყვის, რომ სხვაგვარად არ შეიძლებოდა.

ყველასთვის თავზარდამცემი იყო აპოლონის გარდაცვალება. ჩვენი ოჯახის სახელზე მოვიდა დეპეშები რუსეთიდან, ბელორუსიიდან, პოლონეთიდან. ხელს აწერდნენ ცნობილი მეცნიერები, აპოლონის მეგობრები. აი ზოგიერთი მათგანიც:

„შეგვძრა და დიდად დაგვაშინებდა ჩვენი საყვარელი აპოლონის უდროო გარდაცვალებამ. იგი იყო გამორჩეულად ნიჭიერი მეცნიერი, ფაქიზი სულის მომხიბლავი ადამიანი, თავისი ხალხის ნამდვილი შვილი. გამოვხატავთ ღრმა თანაგრძნობას ნათესავებისა და ახლობლებისადმი. ჩვენ სამუდამოდ შევინახავთ აპოლონზე ნათელ ხსოვნას. პროფესორი რისკოვი, პროფესორი ლიმბორსკაია“.

„დამწუხრებულები ვართ თქვენთან ერთად. ჩვენგან უდროოდ წავიდა მეგობარი, რომელიც ჩვენ შევიყვარეთ მისი მოსკოვში მუშაობის განმავლობაში. ძნელია, შეუძლებელია მისი სიკვდილის დაჯერება. სიტყვებით ვერ გადმოიცემა ჩვენი განუზომელი ტკივილი. ხსოვნა აპოლონზე, ბრწყინვალე ადამიანზე, ერთგულ მეგობარზე,

ნიჭიერ მეცნიერზე სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში. **სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური გენეტიკის ინსტიტუტის თანამშრომლები“.**

„მწუხარება ავსებს გულს თქვენი შესანიშნავი ვაჟის ცხოვრებიდან უდროოდ წასვლასთან დაკავშირებით. არ დაგვაზინყდება ადამიანური სილამაზის, ნესიერების მომხიბლაობა. მიიღეთ ჩვენი გულითადად სამძიმარი. **სსრკ სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო გენეტიკის ინსტიტუტი“.**

„მიიღეთ გულითადად თანაგრძნობა თქვენი ვაჟის, ჩემი მეგობრის აპოლონის უდროოდ გარდაცვალებასთან დაკავშირებით. **მ. პროსნიაკი და გენეტიკის ინსტიტუტი. მინსკი“.**

„დიდად თანაგრძნობით თქვენს მწუხარებას. ის, ვინც იცნობდა თქვენს შვილს, მას არ დაივიწყებს არასოდეს. თქვენი **დავით ბერიტაშვილი“.**

„შეძრწუნებული ვართ მომხდარით. აპოლონი ყოველთვის იყო და დარჩება ჩვენს გულებში კეთილ, გულისხმიერ, შესანიშნავ ადამიანად. **მოსკოველი მეგობრები და კოლეგები“.**

დეპუტები მივიდა მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტშიც:

„ყველა შეძრა აპოლონის – შესანიშნავი მეცნიერის და ნათელი ადამიანის უდროოდ გარდაცვალებამ. დიდად თანაგრძნობით თქვენს მწუხარებას. **აკადემიკოსი გეორგიევი“.**

„მიიღეთ ჩვენი თანაგრძნობა აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძის მოულოდნელ გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ღრმად ვართ დამწუხრებულები და არ შეგვიძლია დავიჯეროთ მომხდარი. ცხოვრებიდან წავიდა ახალგაზრდა, ნიჭიერი მეცნიერი, რომელმაც ასე ბრწყინვალედ გამოავლინა თავი შემოქმედებითი გზის დასაწყისში. ხსოვნა მის შესახებ სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში. **პროფესორი რისკოვი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; პროფესორი ლიმბორსკაია“.**

„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ აპოლონ ჯინჭარაძის ნაადრევ გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ამ შესანიშნავი და ნიჭიერი

მეცნიერის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში. თანაგრძნობას ვუცხადებთ გარდაცვლილის ახლობლებს და კოლეგებს. **სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები“.**

„მიიღეთ ჩვენი ღრმა თანაგრძნობა თქვენი ინსტიტუტის თანამშრომლის აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძის ნაადრევ გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ჩვენ ყოველთვის გვემახსოვრება ის, როგორც შესანიშნავი ადამიანი, ერთგული მეგობარი და ნიჭიერი მეცნიერი. **სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური გენეტიკის ინსტიტუტის თანამშრომლები“.**

„გამოვხატავთ ღრმა თანაგრძნობას თქვენი ინსტიტუტის თანამშრომლის აპოლონ ჯინჭარაძის უდროო გარდაცვალებასთან დაკავშირებით. **სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო გენეტიკის თანამშრომლები“.**

მოსკოვმა ორი არაჩვეულებრივი ახალგაზრდა მეცნიერი გამოგზავნა დაკრძალვაზე – საშა აკულიჩევი და სერგეი ტილიბი. მათ ჩამოიტანეს აპოლონის ინსტიტუტში მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება:

„თბილისში 28 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ინსტიტუტის აღზრდილი **აპოლონ ჯინჭარაძე**. ბედმა ცხოვრებას უმონწყალოდ გამოგლიჯა ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერი, ფაქიზი სულის მომხიბვლელი ადამიანი, თავისი ხალხის ნამდვილი შვილი. მის შესახებ ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულებში“.

განცხადებას თან ახალდა აპოლონის დიდი სურათიც.

იმ დღეებში თეიმურაზ ლეჟავამ უნივერსიტეტში, ბიოლოგიის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე გამოაკრა ლიტერატურული ჩანახატი „ლ ო დ ი ნ ი“:

„1979 წელი.

უნივერსიტეტის „ღია კარის“ დღეზე ყურადღება მიიქცია პირტიტველა, ხუჭუჭთმიანმა, მომღიმარმა, მაღალმა ახალგაზრდამ. ჩვენს ფაკულტეტზე ვაჟების ნაკლებობის გამო მათ სტუდენტობას განსაკუთრებით

ველოდები თ.

1979 წელი. სექტემბერი

ა. ჯინჭარაძე სტუდენტია. I, II, III კურსის I სემესტრი ფრიადებზე დაამთავრა. გენეტიკის ჩაბარებისას გამოიჩინა თავი. რომელ სასპეციალიზაციო განხრას აირჩევს?

ველოდები თ.

1981 წელი.

გენეტიკის სასპეციალიზაციო ჯგუფის IV კურსზე ყურეადღება მიიქცია მისმა დახვეწილობამ, ერუდიაციამ და ადამიანურმა სითბომ. ერთ-ერთმა თანამშრომელმა შეხვედრისას მისი გარეგნობის გამო, გაიფიქრა – ამ ყმაწვილს აპოლონი უნდა ერქვასო!

პრაქტიკაზე ყოფნისას უნგრელმა კოლეგებმა მასში ქართველი ახალგაზრდისთვის დამახასიათებელი ყველა დადებითი თვისება დაინახეს. მის შემდგომ წინსვლას

ველოდები თ.

1982 წელი.

სადიპლომო თემის შესასრულებლად მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტიდან პროფ. თ. ბერიძის რეკომენდაციით იგზავნება მოსკოვის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში. შემდგომში მისი ხელმძღვანელი პროფ. ა. რისკოვი პროფ. თ. ლეჟავასთან საუბარში აღნიშნავს, რომ მისი სადიპლომო ნაშრომი შეესაბამება საკანდიდატო დისერტაციას.

მის წინსვლას კვლავ ველოდებით.

1983 წელი.

ა. ჯინჭარაძე მოსკოვის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი ხელმძღვანელი პროფ. ა. რისკოვი. საასპირანტო მუშაობისას (1985 წ.), მან პირველმა საბჭოთა კავშირში აღმოაჩინა მინისატელიტურ თანმიმდევრობათა ზონდი (ფავი 13) და საფუძველი ჩაუყარა ჩვენში „გენომური დაქტილოსკოპიური“ კვლევის განვითარებას. ეს გამოკვლევა ერთ-ერთ წამყვან მიმართულებად აღინიშნა გენეტიკოსთა და სელექციონერთა საკავშირო ყრილობაზე.

ვ ა მ ა ყ ო ბ თ.

წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ა. ჯინჭარაძეს შესთავაზეს საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაბორატორიის ხელმძღვანელობა, მაღალი ხელფასი და პოდპოლკოვნიკის წოდება.

წარმატებებს ველოდებით.

1988 წელი.

ა. ჯინჭარაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარე-თა ბიოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელია. პარალელურად კითხულობს თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტზე გენეტიკის სასპეციალიზაციო ჯგუფის სპეცკურსს „გენომის სეკვენირება და კლონირება“, ასრულებს სამეცნიერო სამუშაოებს.

გარდა ამისა, დიდი ინტერესით ეკიდება თანამედროვე ამერიკულ ფილოსოფიას, ორიგინალში ამუშავებს შრომებს და მსჯელობს მათზე.

ყოველდღიურად იმდიდრებს სამეცნიერო თეორიულ ცოდნას, ისე რომ მიზანშეწონილად ჩავთვალებთ გენეტიკის კათედრაზე შექმნილიყო გაზეთი ბიოლოგთათვის მის მიერ შემოთავაზებული სათაურით „ახალი თაობა“, სადაც თავს მოიყრიდა უახლესი უცხოური ინფორმაცია ბიოლოგიასა და მედიცინაში.

1989 წელი.

ვ ე ლ ო დ ე ბ ი თ.

მოსკოვიდან მოვიდა ცნობა, მისი ნამუშევრები საკავშირო სახელმწიფო პრემიაზე წარადგინეს. თუ ეს ასეა, ა. ჯინჭარაძე პირველი ბიოლოგი იქნება, ვინც დაიმსახურებს ამ მაღალ ჯილდოს.

ვ ე ლ ო დ ე ბ ი თ.

1989 წელი, 4 მარტი.

გენეტიკის კათედრის ერთ-ერთ აუდიტორიაში მყოფმა IV კურსის სტუდენტებმა თანამშრომლის შეკითხვაზე უპასუხეს: ჩვენ გვაქვს აპოლონ ჯინჭარაძის ლექცია და მას **ვ ე ლ ო დ ე ბ ი თ!** ეს იყო 28 წლის ახალგაზრდა მეცნიერის ბოლო **ლ ო დ ი ნ ი.**

დამატება: ერთ-ერთმა სტუდენტმა აპოლონ ჯინჭარაძის გარდაცვალების ცნობის გაგებისას ამოიკვნესა, „ჩემი ღრმა რწმენით საქართველომ მისი სახით დაკარგა დიდი მეცნიერი.“

1992 წელს გამოვიდა დავით ჯოხაძის წიგნი „მოლეკულური გენეტიკის შესავალი“ (თბილისი, „მეცნიერება“). წიგნში განხილულია გენეტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. ნაშრომი პირველი ცდაა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს შედგენისა ამ დარგში. 240-ე გვერდზე ბატონი დავითი წერს:

„საინტერესოა, რომ ფაგი 13 გამოიყენება დნმ-ში ე.წ. მინისატელიტური თანმიმდევრობების აღმოსაჩენად. როგორც ირკვევა, ასეთი თანანამიმდევრობანი მკაცრად ინდივიდუალურია ყველა სახეობის ცოცხალ ორგანიზმში. უკანასკნელ ხანებში ფაგი 13, როგორც ზონდი, გამოიყენება ცალკეულ ინდივიდთა იდენტიფიკაციისათვის

როგორც ადამიანებში, ისე სხვა ცხოველებში და მცენარეებში. ფაგი 13-ის ამ მიზნით გამოყენების შესაძლებლობას **პირველმა მიაგნო ახალგაზრდა ქართველმა მეკვლევარმა ა.ჯინჭარაძემ.**“

ბატონმა დავითმა აღნიშნული წიგნი უსახსოვრა ჩვენს ოჯახს წარწერით: „დაუვინყარი აპოლონის – ამ ქვეყნიდან უდროოდ წასულის, უბრწყინვალესი ახალგაზრდის – ოჯახს, უღრმესი პატივისცემით, დ.ჯოხაძე, 1997წ. აღდგომა დღეს.“

2002 წელს გამოვიდა თეიმურაზ ლეჟავას ნაშრომი „გენეტიკა და ჩვენ“. მე-5-6 გვერდებზე ვკითხულობთ:

„გენომური დაქტილოსკოპიის ფუძემდებლად ითვლება ინგლისური მეცნიერი **ა. ჯეფრიზი** თანაავტორებთან ერთად (1985წ.). ა. ჯეფრიზის დამსახურება ის არის, რომ მან აღმოაჩინა სპეციფიკური მოლეკულური ზონდი, რომლის საშუალებითაც დგინდება ინდივიდუალური განსხვავება მხოლოდ ადამიანებში. 1988 წელს თსუ გენეტიკის საპეციალიზაციის კურსდამთავრებულმა **აპოლონ ჯინჭარაძემ** შეძლო აღმოეჩინა ახალი ზონდი (ბაქტერიოფაგ-13), რომელიც უნივერსალური აღმოჩნდა ინდივიდუალურ განსხვავებათა მისაღებად ადამიანის, ცხოველთა, მცენარეთა და მიკროორგანიზმთა ცალკეულ შტამებს შორის. ქართველი მეცნიერი 27 წლის ასაკში დაჯილოვდა რუსეთის სახელმწიფო პრემიითა და დიდი ოქროს მედლით (სიკვდილის შემდეგ)“.

აპოლონი მოხსენიებულია აგრევე 41-ე გვერდზე:

„**კითხვა:** შეიმუშავა თუ არა სადღეისოდ გენეტიკამ ისეთი ტესტები, რომლებიც უტყუარად დაასაბუთებს სადავო შემთხვევაში ორი მამაკაციდან რომელია ბავშვის მამა?“

პასუხი: ამჟამად ცნობილია ე.წ. მინისატელიტური დნმ-ის პოლიმორფული მარკერები, რომლებიც გამოიყენება გენომის სპეციფიკური დაქტილოსკოპიური ანაბეჭდის მისაღებად (**ჯეფრიზი** და სხვა, 1985, **ჯინჭარაძე**, 1988). ეს მეთოდი გამოიყენება თითოეული ინდივიდის გენომის სპეციფიკური დაქტილოსკოპიური ანაბეჭდის მისაღებად. მშობლების (დედისა და მამის) მინისატელიტური სპეციფიკურ ნუკლეოტიდთა თანამიმდევრობები გადაეცემა შვილებს. ეს არის უტყუარი ტესტი. ამ მეთოდის გამოყენებით ბელორუსიაში გაათავისუფლეს ოთხი სიკვდილმისჯილი პატიმარი, გერმანიაში დადგინდა რესტორანში მომხდარი ხანძრის შედეგად მთლიანად დამწვარი გვამის ვინაობა. მოსკოვში ჩატერებული ანალიზის საფუძველზე, მრავალ შემთხვევაში დადგინდა ბავშვის მამობა. დნმ-ის ამ სადიაგ-

ნოსტიკო ტესტის გამოყენებით, დადებითად გადაწყდა ერთ-ერთი ახალგაზრდა გოგონას პრეტენზია, რომელმაც გამოჩინილ ფეხბურთელს – პელეს – თავის ქალიშვილად წარუდგინა თავი და ა.შ.“

ბატონმა თეიმურაზმა თავისი ნაშრომი თავაზიანად გადმოსცა ჩვენს ოჯახს სამახსოვრო წარწერით: „ჩემს საყვარელ აპოლონს, ქალბატონ ტერეზას და ბატონ ბადრის უღრმესი პატივისცემით აპოლონის სულის მოსახსენებლად. ავტორი თ. ლეჟავა, 14.VII.2002“.

ბატონი თეიმურაზ ლეჟავა წიგნში „უჯრედის გენეტიკა“ (2004 წ.) წერს:

„გენომში განმეორებადი ნუკლეოტიდური თანამიმდევრობა არსებობს მცირე და დიდი ოჯახების სახით, რომლებიც განსხვავდებიან ურთიერთისაგან პირველადი სტრუქტურით და ორგანიზაციით. ზოგიერთი მათგანი გაბნეულია გენომში, ხოლო ზოგიერთი გაერთიანებულია კლასტერებად. განმეორებად ნუკლეოტიდთა თანამიმდევრობათა დამახასიათებელ თვისებად გამოვლენილია ერთი და იმავე ოჯახის წარმომადგენელთა ცალკეული ასლების გარკვეული დივერგენცია. ამასთან დაკავშირებით განმეორებადი თანამიმდევრობა განიხილება, როგორც გენომის შესაძლებელი მარკერები (ნიშნები), რომლებსაც შესწევთ უნარი დნმ-ს პოლიმორფიზმის გარკვევისა. **პოლიმორფული მარკერების კარგი მაგალითია ადამიანის მინისატელიტური დნმ (ჯეფრისი და სხვ., 1985) და ფაგი 13 (ჯინჭარაძე, 1988), რომლებიც გამოიყენეს თითოეული ინდივიდის გენომის სპეციფიკური „დაქტილოსკოპიური“ ანაბეჭდების მისაღებად. ჰიპერვარიანობილური თანამიმდევრობა ადამიანის გარდა 13-ის გამოყენებით თსუ გენეტიკის კათედრის აღზრდილმა აპოლონ ჯინჭარაძემ აღმოაჩინა ძუძუმწოვრების, მცენარეების, ფრინველების, თევზების, ჭიების, მოლუსკების, საფუარის, ბაქტერიის დნმ-ში. ეს კი საშუალებას იძლევა პრაქტიკულად გამოვიყენოთ გენომური „დაქტილოსკოპია“ ადამიანის, ცხოველების, მცენარეების, მიკროორგანიზმების გენეტიკაში.“**

1996 წელს, გარდაცვალებიდან 7 წლის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის 18 ივნისის ბრძანებულებით, აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძეს მიენიჭა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში და წოდება „რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიე-

რების და ტექნიკის დარგში“.

ამასთან დაკავშირებით, 1997 წლის 7 თებერვალს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში,“ 30 (2403) დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი სანაძისა და ს. დურმიშიძის სახელობის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ნუკლეინის მჟავების ლაბორატორიის ხელმძღვანელის, აკადემიკოს თენგიზ ბერიძის სტატია „აპოლონ ჯიჭარაძე – რუსეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი“. მომყავს სტატიის სრული ტექსტი:

„რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის 1996 წლის 18 ივნისის ბრძანებულებით ქართველ მეცნიერს **აპოლონ ჯიჭარაძეს (გარდაცვალების შემდეგ),** რამდენიმე რუს კოლეგასთან ერთად მიენიჭა რუსეთის სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. როგორც ბრძანებულებაშია აღნიშნული, მეცნიერთა ამ ჯგუფს პრემია მიენიჭა ნაშრომისათვის – **„გენომური დაქტილოსკოპიის თეორიული და გამოყენებითი პრობლემების და-მუშავება“.**

გენომური დაქტილოსკოპიის მეთოდი დაფუძნებულია ცოცხალი ორგანიზმების მემკვიდრული ნივთიერების დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის (დნმ) ანალიზზე. როგორც ცნობილია, ყოველი ცოცხალი ორგანიზმი ატარებს მემკვიდრულ ინფორმაციას გენების სახით, გენები განაპირობებს ცოცხალი ორგანიზმებისთვის დამახასიათებელ ყოველ ნიშან-თვისებას და თაობიდან თაობას გადაეცემა. გენების რაოდენობა სხვადასხვა ორგანიზმში სხვადასხვაა. ადამიანს აქვს დაახლოებით 50000-100000 გენი. ცალკეული ინდივიდუუმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გენების სხვადასხვა ფორმების ე. წ. ალელების შემცველობით. გენის ქიმიური საფუძველი დეზოქსირიბონუკლეინის მჟავაა. გენომური დაქტილოსკოპიის მეთოდი დაფუძნებულია ცალკეული ინდივიდუუმების დნმ-ის მოლეკულებში არსებულ ამ განსხვავებათა დეტექტირებაზე. ისევე როგორც ჩვეულებრივი დაქტილოსკოპიის მეთოდით შეიძლება პიროვნების იდენტიფიკაცია ხელის კანის ქარგების აღნაგობით, გენომური დაქტილოსკოპიით შეიძლება პიროვნების იდენტიფიკაცია მის უჯრედებში არსებული დნმ-ის მოლეკულების ანალიზის საფუძველზე. გენომური დაქტილოსკოპიის მეთოდით შეიძლება პიროვნების იდენტიფიკაცია დანაშაულის ადგილზე დატოვებული სისხლის ერთი წვეთის, თმის რამდენიმე ბოლქვის, ანდა სპერმის მცირე რაოდენობის ანალიზის საფუძველზე.

გენომური დაქტილოსკოპიის ფუძემდებლად ითვლება ინგლისელი მეცნიერი **ალექ ჯეფრისი**, შექმნის თარიღად მიჩნეულია 1987 წლის იანვარი. სწორედ 1987 წლის იანვარში აღნიშნული მეთოდით ინგლისის პოლიციამ გამოავლინა დამნაშავე, რომელმაც 1983-1986 წლებში ორი გოგონა გააუპატიურა და დაახრჩო. პოლიციამ დამნაშავის გამოვლენის მიზნით ჩაატარა დანაშაულის ჩადენის ადგილის ახლომდებარე სოფლების 4500 მამაკაცის გენომური ანალიზი და მათში დამნაშავე ამოიცნო. სასამართლომ გენომური დაქტილოსკოპიით მიღებული შედეგების საფუძველზე ეჭვიმიტანილს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. დღეს ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში დამნაშავეთა გამოვლენისათვის, როგორც მამობის დასადგენი ტესტი და სხვ.

ა. ჯეფრისის დამსახურება ის არის, რომ მან აღმოაჩინა სპეციფიკური მოლეკულური ზონდი, რომლითაც შესაძლებელი გახდა ცალკეული ინდივიდუუმების დნმ-ებს შორის განსხვავებათა იდენტიფიცირება. მაგრამ ამ ზონდით შეიძლება მხოლოდ ადამიანთა იდენტიფიკაცია. ა.ჯინჭარაძემ კი აღმოაჩინა ახალი ზონდი ერთ-ერთი ბაქტერიოფაგის (13) საფუძველზე, რომელიც უნივერსალურია ცოცხალი სამყაროს მიმართ. ამ ზონდის საშუალებით შესაძლებელია იდენტიფიცირება ცალკეული ინდივიდუუმებისა ადამიანებში, ცხოველებსა და მცენარეებში, აგრეთვე განსხვავების დადგენა მიკროორგანიზმების ცალკეულ შტამებს შორის.

ა.ჯინჭარაძე დაიბადა 1961 წელს ქ.თბილისში, 1977 წელს დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო სკოლა, 1978 წელს შევიდა სასწავლებლად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე. ა.ჯინჭარაძის განსაკუთრებული ნიჭი შეამჩნია გენეტიკის კათედრის გამგემ პროფ. თ.ლეყავამ. მან ა.ჯინჭარაძე მოავლინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს.დურმიშიძის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ნუკლეინის მუჟავების ლაბორატორიაში მოლეკულურ ბიოლოგიასა და მოლეკულურ გენეტიკაში მოსამზადებლად. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი, როგორც მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომელი, ჩაირიცხა მიზნობრივ ასპირანტურაში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის – ვ.ენგელჰარდტის სახ. მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში. 1988 წლის თებერვალში იქვე მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. სწორედ საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობისას აღმოაჩინა ა.ჯინჭარაძემ ზემოაღნიშნული

ზონდი. მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა დაამუშავეს ამ სამუშაოს გამოყენებითი ნაწილი და გენომური დაქტილოსკოპიის მეთოდმა უნივერსალური სახე მიიღო. მეცნიერთა ამ ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაო დღეს საყოვლთაოდ აღიარებულია. უნდა ითქვას, რომ ამ ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ა.ჯინჭარაძის მიერ აღმოჩენილი ზონდის საშუალებით მოგვიანებით მოახდინა ნიკოლოზ მეორის ნეშტის იდენტიფიცირება იაპონიაში შემონახული მეფის სისხლით გაჟღენთილი დოლბანდის საშუალებით.

ა.ჯინჭარაძე 1988 წელს თბილისში დაბრუნდა და განაგრძო მუშაობა ს.დურმიშიძის სახ. მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1989 წლის 4 მარტს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა, მაშინ, როდესაც უნივერსიტეტში ლექციის წასაკითხად ემზადებოდა.

ა.ჯინჭარაძის სახით ქართულმა მეცნიერებამ დაკარგა დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა, რომლის შრომებს დღესაც ყურადღებით კითხულობენ და ციტირებას ახდენენ მსოფლიოს წამყვანი ბიოლოგები. ა.ჯინჭარაძე უაღრესად ზრდილი და განათლებული ახალგაზრდა იყო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი შრომისმოყვარეობა და ორგანიზებულობა, რამაც დიდი როლი შეასრულა, მისი, როგორც მეცნიერი ექსპერიმენტატორის, მიღწევებში.

ა.ჯინჭარაძის სიცოცხლის პერიოდშივე ამ მეთოდით ძლიერ დაინტერესდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალური სამმართველოს მაშინდელი უფროსი დორიან როსტიაშვილი. შესრულდა გარკვეული სამუშაო და ფაქტობრივად ეს მეთოდი დაინერგა ჩვენს ქვეყანაში. სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში არსებული პრობლემები – ძირითადად რადიოაქტიური იზოტოპების შემოტანის ადრე არსებული მექანიზმის სრული მოშლა – ჯერჯერობით არ იძლევა ჩვენს რესპუბლიკაში გენომური დაქტილოსკოპიის მეთოდის გამოყენების საშუალებას. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს პრობლემები ახლო მომავალში დაძლეული იქნება“.

აღსანიშნავია, რომ ორი აკადემიკოსის ეს სტატია წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს ძირითად ორიენტირს მრავალი ყურნალისტისთვის, ვინც აპოლონ ჯინჭარაძეზე წერდა და წერს.

აპოლონის ცხოვრებას და მოღვაწეობას სპეციალური სიუჟეტები მიუძღვნა საქართველოს პირველმა არხმა (ყურნალისტი ლალი შენ-

გელი), აპოლონის გარდაცვალებიდან მე-8 წლისთავზე და მეორე არხმა (ჟურნალისტი ვერიკო ფურცხვანიძე), აპოლონისთვის რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ასევე სპეციალური გადაცემა მიუძღვნა მას საქართველოს რადიომ. რადიოგადაცემა „ახალი იდეა“ – „გენომური დაქტილოსკოპიის მეთოდი და ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი აპოლონ ჯინჭარაძე“ შედგა 1997 წლის 10 აპრილს. გთავაზობთ ამ გადაცემის სტენოგრაფიულ ჩანაწერს:

„ირინე კეშელავა გესაუბრებათ. დღეს გენომური დაქტილოსკოპიის მეთოდზე ვვინდა ვიამბოთ. საგულისხმოა, რომ მეთოდის დამუშავებაში ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა აპოლონ ჯინჭარაძემაც მიიღო აქტიური მონაწილეობა, რისთვისაც რამდენიმე რუს კოლეგასთან ერთად მას რუსეთის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. სამწუხაროდ, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი აპოლონ ჯინჭარაძე სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. დღეს სწორედ მის შესახებ სასაუბროდ ვესტუმრეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ნუკლეინის მუჟავების ლაბორატორიის გამგეს, აკადემიკოს თენგიზ ბერიძეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის გამგეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, თეიმურაზ ლეჟავას და კრიმინალისტ დორიან როსტიაშვილს.

– ბატონო თეიმურაზ! მე მინდა საუბარი თქვენ დაიწყოთ, ვინაიდან აპოლონ ჯინჭარაძე თქვენი სტუდენტი იყო და თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით გადადგა ალბათ პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში; იმიტომ რომ დიდ მეცნიერს სტუდენტობაში ეყრება საფუძველი.

– მე სიამოვნებით მოგახსენებთ. ფრიად სამწუხაროა, რომ აპოლონ ჯინჭარაძეზე საუბარი გვიხდება როგორც მოგონება. ამჟამად რუსეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა აპოლონ ჯინჭარაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი, გენეტიკის სპეციალიზაცია. იგი სტუდენტობის დროს გამორჩეული ახალგაზრდა გახლდათ. ბეჯითი, შრომისმოყვარე, ყოველთვის მომღიმარი, გამგებანი სახით. ის იყო აპოლონი, ნამდვილად, იცით... ფიზიკურადაც დამშვენებული, მაღალი, ისეთი მონითური სახით და თავისებური ქოჩორით. აპოლონი კარგად სწავლობდა – ფრიადებზე და სწორედ ეს იყო საფუძველი, რომ ჩვენ მივაკვლინეთ მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში, აკადემიკოს თენგიზ ბერი-

ძის ლაბორატორიაში. იქ გააკეთა კარგი სადიპლომო ნაშრომი და ბრწყინვალედ დაიცვა ჩვენთან. აპოლონმა თავიდანვე აირჩია გენეტიკა. აქ უნდა ერთი განმარტება განვიცხადოთ, უნივერსიტეტის დამთავრების ბანკეტზე მან აღიარა, რომ უნივერსიტეტში შემოდიოდა ფიზიოლოგად გახდომის სურვილით... რადგან ბერიტაშვილის სკოლა... მაგრამ ღია კარის დღეზე მან გადაწყვიტა, რომ ნასულიყო სწორედ გენეტიკის განხრით. აპოლონი მაგალითია ახალგაზრდა თაობისათვის, როგორც მეცნიერი. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი მას არ უცოცხლია, იგი მაგალითია თავისი შემოქმედებითი მეცნიერული საქმიანობის გამო. იმიტომ რომ სულ მოკლე ხანში ის ცნობილი გახდა მსოფლიოში როგორც მეცნიერი. მე პირადად შეტანილი მყავს ის სახელმძღვანელოში „ადამიანის გენეტიკა“. ყველა თაობას, ვისაც მე ვუკითხავ გენეტიკას, ყოველთვის სამაგალითოდ ვუხასიათებ აპოლონ ჯინჭარაძეს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა ქართულმა მეცნიერებამ დაკარგა წამყვანი და დიდების შემომოსავი, დიდების მომპოვებელი მეცნიერი.

– ბატონო თენგიზ, ახლა მე მინდა თქვენ გვიამბოთ მეთოდზე. როგორც ცნობილია, ალექსეი ჯეფრიზია მეთოდის ფუძემდებელი, მაგრამ ალბათ ბატონმა აპოლონმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა, რაკი მას რუსეთის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ამ მეთოდზეც მინდა ცოტა რომ გვიამბოთ და იმ წვლილზეც, რომელიც აპოლონ ჯინჭარაძემ შეიტანა ამ მეთოდის განვითარებაში.

(ბატონმა თენგიზ ბერიძემ ისაუბრა დანვრილებით აღნიშნულთან დაკავშირებით და ასევე დასძინა:)

– „აპოლონ ჯინჭარაძის სახით ქართულმა მეცნიერებამ დაკარგა დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა, რომლის შრომებს დღესაც ყურადღებით კითხულობენ და ციტირებას ახდენენ მსოფლიოს წამყვანი ბიოლოგები. აპოლონ ჯინჭარაძე იყო უაღრესად ნიჭიერი, ერუდირებული და განათლებული ახალგაზრდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი შრომისმოყვარეობა, რამაც ძალიან დიდი როლი ითამაშა მისი, როგორც მეცნიერის ფორმირების საქმეში. აპოლონ ჯინჭარაძის აღზრდაში, რასაკვირველია, ძალიან დიდი წვლილი მიუძღვით მის მშობლებს: ქალბატონ ტერეზას, ბატონ გიზოს. აგრეთვე მინდა აღვნიშნო, რომ მისი, როგორც ასეთი ნიჭიერი ადამიანის, ნიჭიერი ახალგაზრდის აღმოჩენა მოხერხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის გამგის, პროფესორ თეიმურაზ ლეჟავას მიერ.

– ბატონი დორიან როსტიაშვილი გვესაუბრება ახლა საქართველოში ამ მეთოდის გამოყენების პერსპექტივებზე.

– მე იქიდან დავიწყებ, რომ აპოლონ ჯინჭარაძე ძალიან მიყვარდა და დიდ პატივს ვცემდი მას. ამიტომ ჩვენი ყველა შეხვედრა იყო სიამოვნება და კმაყოფილებას ტოვებდა ჩემში. მიუხედავად იმისა, რომ სულ ერთი წელიწადი ვიცნობდი, თანაც ჩემს საქმესთან დაკავშირებით. ჩემი ეს საქმიანი დაკავშირება გადავიდა შემდეგ ჩვენს პირად მეგობრობაში და ვხვდებოდი მას უკვე როგორც არა მეცნიერს, არამედ როგორც უმცროს ამხანაგს. აპოლონი იყო მიზანსწრაფული ადამიანი, რომელიც უსაზღვროდ იყო შეყვარებული თავის პროფესიაზე. მე არ დამავიწყდება, როგორ მიხსნიდა, რა არის ადამიანის გენომი და რა სამუშაო ტარდება შეერთებულ შტატებში ადამიანის გენომის შესწავლაზე. როგორი აღფრთოვანებული იყო, იცით, და მე ვიფიქრე, ალბათ ასეთი ახალგაზრდებიდან გამოდიან ჩვენი მუსხელიშვილები, ბერიტაშვილები და ვეკუები; ალბათ ასეთი უნდა იყოს ახალგაზრდა მეცნიერი. სულ მეცნიერებაში იყო. მისთვის მთავარი იყო მისი პროფესია და თავისი საქმე.

ახლა რაც შეეხება იმას, თუ როგორ გავიცანი აპოლონი. გაცნობა მოხდა ასეთნაირად. ერთ-ერთ ჟურნალში, პუბლიკაციაში წავიკითხეთ, რომ ინგლისში დაინერგა ასეთი მეთოდი გამოკვლევის, ჯეფრიზის ხელმძღვანელობით. ეს იმდენად საინტერესო მეთოდი იყო, რომ ტოლფასი იყო რევოლუციისა კრიმინალისტიკის დარგში. და, რა თქმა უნდა, ჩვენ პირველ რიგში მივმართეთ მოსკოვს. მე უნდა გითხრათ, რომ მაშინ მე ვიყავი შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალისტიკური სამსახურის უფროსი. მოსკოვს მივმართეთ, სამეცნიერო ცენტრს. იქ იყო ასეთი უძლიერესი მსოფლიოში კრიმინალისტიკური ცენტრი, რომელიც იყო არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს მსოფლიოში ცნობილი ცენტრი. და ვთხოვეთ დახმარება, რომ გვინდოდა ეს მეთოდი აგვეთვისებინა. მოსკოვმა გვიპასუხა, რომ ამ მეთოდის ათვისება ჩვენ თვითონ გვინდაო, მაგრამ ძალიან გაჭირვებაში ვართო, რადგან სპეციალისტები ამ დარგში არ გვყავსო. თანაც ისიც დასძინეს, რომ თქვენ ჩვენ გვთხოვთ დახმარებას, მაშინ როდესაც თქვენ საუკეთესო, არაჩვეულებრივი სპეციალისტი გყავთ თბილისშიო, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ამ თემაზეო. დავიწყეთ აპოლონის ძებნა. ამ ძებნაში მივადექით ბიოქიმიის ინსტიტუტს. და ბატონ აპოლონს რომ შევხვდი დავრწმუნდი, რომ მართლა აპოლონი იყო – გარეგნულად

ისეთი ლამაზი, წარმოსადევი. არაჩვეულებრივი სილამაზის მამაკაცი იყო. და, რაც მთავარია, ჩანდა, რომ სუფთა და სპეტაკი ადამიანი იყო. ეს მის გამომეტყველებაში, მის თვალებში.. ყველანაირად ჩანდა ეს ამბავი. ვთხოვეთ აპოლონს, რომ გაენია ჩვენთვის დახმარება ამ საქმეში. როდესაც დავითანხმეთ აპოლონი, რომ ჩვენთვის დახმარება გაენია ამ მეთოდის ათვისებაში, წავედით მოსკოვში ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალისტიკის ინსტიტუტში, რომელზედაც მე ადრე მოგახსენეთ, რათა იქ ერთობლივად პროგრამა შეგვემუშავებინა, თუ რა გვინდა ჩვენ, ვინაიდან მოსკოვს უნდა დაეფინანსებინა ეს პროგრამა. როდესაც ჩავედით იქ, რომ დაინახეს აპოლონი, მას შესთავაზეს: „რა გინდა თბილისში?! დარჩი მოსკოვში, ჩვენს ინსტიტუტში. გაძლევთ განყოფილებას, გაძლევთ პოდპოლკოვნიკის წოდებას, ბინას; იმუშავე და აგვათვისებინე ეს მეთოდი“. არ დათანხმდა, იცით. თქვა, რომ მე უკვე საკმარისად ვიყავი მოსკოვში. სამშობლოში უნდა დავბრუნდეო და თუ რამეს გავაკეთებო, იქ გავაკეთებო. ასე დავბრუნდით ჩვენ შემუშავებული პროგრამით.

საქმე ის არის, რომ ჯეფრიზის მეთოდი, მისი გამოკვლევა ვრცელდებოდა თხევად სისხლზე და ჩვენ კრიმინალისტებს გვანტერესებდა მარტო თხევადი სისხლის ანალიზი კი არა, ჩვენ გვანტერესებდა გამშრალი სისხლის, გამშრალი სპერმის და ადამიანის სხვა გამონაყოფის, გამშრალის ანალიზის მეთოდის დამუშავება. დავისახეთ ეს ამოცანა და აპოლონმა დაიწყო ამ ამოცანაზე მუშაობა. მივამაგრეთ ჩვენი სპეციალისტი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მასთან იყო და ითვისებდა ამ მეთოდს, ერთად მუშაობდნენ. შემდეგ მოხდა ეს ტრაგიკული შემთხვევა; აპოლონმა ველარ დაასრულა, ბოლომდე ვერ მიიყვანა ეს საქმე და შემდეგ გაგრძელდა მუშაობა ბატონ თენგიზ ბერიძის უშუალო ხელმძღვანელობით და კარგი შედეგებიც მივიღეთ.“

ამონარიდი თამარ ჯაფარიძის სტატიიდან სტატია „ივანე ბერიტაშვილის შემდეგ“ (გაზეთი „სამშობლო“, 1998წ., 3):

„დიდი ივანე ბერიტაშვილის შემდეგ იგი მეორეა ქართველ ბიოლოგთაგან, ვინც ამგვარი ჯილდო დაიმსახურა (საუბარია რუსეთის სახელმწიფო პრემიაზე – ბ.ჯ.)... გამოგონებათა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1989 წელს გაცემულ საავტორო მონობაში ნათქვამია, რომ ეძლევა აპოლონ ჯინჭარაძეს გამოგონებისათვის – „ცოცხალი ორგანიზმების ნათესაობის განსაზღვრის მეთოდი“.

კაცმა რომ თქვას, აპოლონი ერთადერთი ქართველი ბიოლოგია,

ვისაც რუსეთის სახელმწიფო პრემია მიენიჭა, ხოლო თუ ამ პრემიას გავაიგივებთ სსრკ სახელმწიფო პრემიასთან, მაშინ დიდი ივანე ბერიტაშვილის შემდეგ მეორე ბიოლოგია, ვისაც ესოდენ დიდი პატივი ერგო წილად.

გენომური დაქტილოსკოპიის მეთოდის და მისი ფუძემდებლების შესახებ ბევრი დაინერა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ჟურნალი „გზა“ 6 (87) 7/II-13/II. 2002. სტატიაში „30-40 წლის შემდეგ ადამიანი აღარ დაბერდება ანუ რას გვიქადის დნმ-ის გაშიფვრა?!“ ჟურნალისტი ნანა ქიბიშაური წერდა:

„რა არის გენი, რა საიდუმლოების მატარებელია ის და რამდენად არის მეცნიერებისგან შესწავლილი?... რა შესაძლებლობები აქვს საქართველოში არსებულ დნმ-ის ლაბორატორიას? როგორ ხდება მამობის დადგენა, ან შეიძლება თუ არა, ერთი თმის ღერის ბოლქვით პიროვნების დამნაშავესთან იდენტიფიცირება?... დნმ-ის ლაბორატორია დილომში, ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტშია განთავსებული და გენების მატერიალურ საფუძველს – ნუკლეინის მყავებს იკვლევს. ადამიანს დაახლოებით 30000 გენი აქვს. 1984 წელს ახალგაზრდა ინგლისელმა მეცნიერმა ალექ ჯეფრიზმა აღმოაჩინა, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ე.წ. მინისატელიტური დნმ-ის მოლეკულების აღნაგობით. თითოეულ ადამიანს, თითების ანაბეჭდის მსგავსად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მინისატელიტების „ანაბეჭდი“ გამოარჩევს. დღეს ამ მეთოდს უფრო ხშირად დნმ-ტესტს უწოდებენ... გვიამბობს ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ნუკლეინის მყავების ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თენგიზ ბერიძე: ... ჯეფრიზის მეთოდი შემოფარგლული იყო მხოლოდ ადამიანებით. მოგვიანებით, 1987 წელს ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომელმა აპოლონ ჯინჭარაძემ, აღმოაჩინა ახალი „ზონდი“, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა გენომური დაქტილოსკოპიის მეთოდის გამოყენება არა მარტო ადამიანების მიმართ, არამედ მცენარეების, ცხოველებისა და მიკროორგანიზმების ცალკეული შტამების (ერთი სახის მიკროორგანიზმების სუფთა კულტურა. – ავტ.) იდენტიფიკაციისთვის. ამ აღმოჩენისთვის მას რუსეთის სახელმწიფო პრემია მიენიჭა (მაშინ იქ მუშაობდა). ის ძალიან დიდი მეცნიერი იყო და სამწუხაროა, რომ 28 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა. მის მიერ აღმოჩენილი მეთოდით დაინტერესდნენ შინაგან საქმეთა სამი-

ნისტროს საექსპერტო ბიუროს მაშინდელი ხელმძღვანელები, რომლებმაც ზუსტად შეაფასეს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ახალ აღმოჩენას კრიმინალისტიკისთვის. მაგრამ მეთოდი საკმაოდ ძვირად ღირებული იყო, მოითხოვდა რადიოაქტიური ფოსფორის შემცველი ნივთიერებების განუწყვეტილვ შემოტანას, რადგან რადიოაქტიური ფოსფორი სწრაფად იშლება. ამის განხორციელება 90-იან წლებში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. დღეს ამ რადიოაქტიურ იზოტოპს აღარ იყენებენ. სამაგიეროდ, საჭიროა თანამედროვე ხელსაწყო – „დნმ-ამპლიფიკატორი“, რომელიც გერმანიის ერთ-ერთმა სამთავრობო უწყებამ ჩვენს ლაბორატორიას უსასყიდლოდ გადმოსცა... დავინყოთ კრიმინალისტიკით. თუ ბოროტმოქმედმა დანაშაულის ადგილზე დატოვა სისხლის წვეთი, სპერმის კვალი, ნერწყვი, სიგარეტის ნაშენი, თმის ერთი ბოლქვი, ამ ბოროტმოქმედის იდენტიფიცირება ძნელი არ არის – რადგან ის დანაშაულის ადგილზე ტოვებს საკუთარ უჯრედებს, უჯრედიდან ხდება დნმ-ის გამოყოფა, შემდეგ მისი გამრავლება სპეციალურ ხელსაწყოზე და შედარება ეჭვმიტანილების დნმ-ის მოლეკულებთან. მეორე ასპექტი არის სადავო მამობის დადგენა. დღეს ეს ტრივიალური ამოცანაა. ხდება ბავშვისა და შესაძლო მამის სისხლიდან დნმ-ის გამოყოფა, შედარება და დასკვნის გაკეთება. მესამე ასპექტი არის გვამის ან ჩონჩხის იდენტიფიცირება. ეს შედარებით რთული ამოცანაა. თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს, რადგან დნმ-ის მოლეკულები, დროის განმავლობაში განიცდიან დეგრადაციას. საერთოდ, დნმ-ი ძვალში დაახლოებით 100000 წელი ინახება, მაგრამ რაც უფრო ძველია ნიმუში, მით უფრო რთულია ანალიზის გაკეთება. ყველამ იცის, რომ ბოლშევიკებმა 1918 წელს დახვრიტეს ნიკოლოზ მეორე, მისი მეუღლე და შვილები. გვამები გადამალეს ეკატერინბურგის მახლობლად. 80-იანი წლების ბოლოს, ეკატერინბურგის ერთ-ერთ მაღაროში აღმოაჩინეს ადამიანის ჩონჩხები. ვარაუდობდნენ, რომ ისინი მეფის ოჯახს ეკუთვნოდა და საჭირო იყო მათი იდენტიფიცირება. ნაპოვნი ძვლებიდან გამოყვეს დნმ-ის მოლეკულები, მაგრამ რასთან შეედარებინათ ისინი? საბედნიეროდ, ნიკოლოზ მეორე, როდესაც ის ჯერ კიდევ უფლისწული იყო, სტუმრებია იაპონიას, სადაც ერთ-ერთ სამურაის დანიტ დაუჭრია. დოლბანდი, რომელზეც ნიკოლოზის სისხლის კვალია შემორჩენილი, დღემდე ინახება იაპონიის ერთ-ერთ მუზეუმში. ამ დოლბანდიდან აიღეს გამხმარი სისხლის ნიმუში, გამოყვეს

დნმ-ი და შეადარეს ეკატერინბურგის მახლობლად აღმოჩენილი ჩონჩხებიდან გამოყოფილ დნმ-ს. ასე მოხდა ნიკოლოზ მეორის ჩონჩხის იდენტიფიცირება. მიღებული შედეგების საფუძველზე, ეკატერინბურგის მახლობლად აღმოჩენილი ნაშთები, ნიკოლოზ მეორის და მისი ოჯახის წევრების აღმოჩნდა. ისინი რამდენიმე წლის წინ პატივით დაკრძალეს სანკტ-პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

მეორე მაგალითი – უცნობი ჯარისკაცის საფლავი არლინგტონის სასაფლაოზე, აშშ-ში. ამ ჯარისკაცის ძვლებიდან გამოყოფილი დნმ-ის საფუძველზე ცხედარი იქნა იდენტიფიცირებული. მისი ნეშტი გადაასვენეს და მშობლების გვერდით დაკრძალეს.

ავილოთ გახმაურებული სასიყვარულო კავშირი პრეზიდენტ კლინტონსა და მონიკა ლევენსკის შორის. პრეზიდენტი თავიდან უარყოფდა მას, მაგრამ, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ მონიკას კაბაზე მისი სპერმის კვალი იყო შემორჩენილი, მან ეს კავშირი აღიარა, რადგან დნმ-ტესტი ამას ადვილად დაადგენდა.

ამერიკის მესამე პრეზიდენტს – თომას ჯეფერსონს ჰყავდა უკანონო შვილები შავკანიანი ქალისაგან. მათმა მემკვიდრეებმა დნმ-ტესტის საფუძველზე შეძლეს დაემტკიცებინათ, რომ მართლაც ჯეფერსონის შთამომავლები არიან.

შეიძლება ითქვას, რომ დნმ-ტესტის პოპულარიზაციის საქმეში დიდი როლი სატელევიზიო სერიალებმა შეასრულა. როგორც მითხრეს, ამ სერიალებში ხშირად არის სიტუაციები, როდესაც ბავშვის მამა არ აღიარებს მამობას და საჭირო ხდება ამის დამტკიცება დნმ-ტესტის მეშვეობით.

ჩვენს ლაბორატორიაში ხშირად კეთდება სადავო მამობის ანალიზი და ეს პროცედურა ჩვენთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, საქართველოში, სადავო მამობის დადგენის მიზნით, ყოველწლიურად დაახლოებით 60 სასამართლო პროცესი იმართებოდა: მამაკაცები სხადასხვა მიზეზის გამო არ აღიარებენ მამობას, თუმცა, როგორც ექსპერტები ამბობენ, მათ მშვენივრად იციან სიმართლე. წინათ, მათთვის თავის დაძვრენის საშუალება ის იყო, რომ ადრინდელი მეთოდები არ იძლეოდა მამობის ზუსტი დადგენის საშუალებას. თუმცა, ზოგ შემთხვევაში შესაძლებელი იყო სისხლის ჯგუფების განსაზღვრის საფუძველზე მამობის გამორიცხვა. დღეს დნმ-ტესტი სადავო მამობაზე ერთმნიშვნელოვან პასუხს იძლევა.“

იგივე ჟურნალი „გზა“ 2 წლის შემდეგ (32 (217) 5/VIII-11/VIII. 2004). სტატიაში „ქართველი კაცის ინტელექტუალური კაპიტალი“ (ქვესათაურით: „აპოლონ ჯინჭარაძე – გენური დაქტილოსკოპიის მეთოდის ავტორი“) ავტორი ლელა ჭანკოტაძე წერდა:

„დაახლოებით 15 წლის წინ გარდაიცვალა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, რუსეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი აპოლონ ჯინჭარაძე. იგი მაშინ მხოლოდ 28 წლის იყო და მიუხედავად ამისა, მოასწრო მეცნიერების ისეთ დარგში ეთქვა თავისი წონიანი სიტყვა, რომელსაც შეუძლია, გარდატეხა მოახდინოს კაცობრიობის განვითარებაში. მან მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში მუშაობისას, გენური დაქტილოსკოპიის მეთოდი შეიმუშავა. ეს ამოცანა ადამიანებთან მიმართებაში, ინგლისელმა ჯეფრიზმა გადაჭრა, აპოლონ ჯინჭარაძემ კი, მთელ ცოცხალ ორგანიზმებზე განავრცო. გარდაცვალებიდან 7 წლის შემდეგ, მას ამ აღმოჩენისთვის რუსეთის სახელმწიფო პრემია (უნინ, სტალინის პრემია ერქვა) მიენიჭა, რომელიც მანამდე მხოლოდ ივანე ბერიტაშვილს ჰქონდა მიღებული...“

2006 წლის 6 იანვარს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ჟურნალისტ თამარ ჩხატარაშვილის სტატია „რჩეულთა ხვედრი“, რომელიც ეძღვნება აპოლონის დაბადებიდან 45 წლის-თავს. ამონარიდი სტატიიდან:

„არა მხოლოდ „მომავლის“ მეცნიერებას ემსახურებოდა, თავადაც, შინაგანად, **XXI** საუკუნის მეცნიერი გახლდათ. მრავალმხრივი ინტერესებით, ხელოვნების, ლიტერატურის, მუსიკის, ფოტოგრაფიის ხაზგასმული სიყვარულით. ყოველთვის ერთ-ერთ პირველთაგანს ჰქონდა ყველაზე საინტერესო ჩანაწერები, პუბლიკაციები, ინგლისურენოვანი უახლესი გამოცემები; სრულყოფილად ფლობდა უცხო ენებს, სერიოზულად იყო გატაცებული იოგათი.

თავად არასოდეს დაუჩივლია. იმედებით სავსე ჩამოვიდა საქართველოში, ყოველი ჩვენგანივით სჯეროდა, რომ 1989 წლის ამ უცნაურ გაზაფხულს ბუნების გამოღვიძებასთან ერთად მთელი ერის გამოღვიძება, გამოფხიზლება და თავისუფლება დაავიკრგვინებდა, რომ მიზანი, რომლისკენაც წრფელი გულით, სუფთა ხელებით და ნათელი გონებით მიილტვი, აუცილებლად აღსრულდება.

ამგვარი შემართება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ისევე როგორც ჯიუტი სვლა მიზნისკენ, თუნდაც სიცოცხლის ფასად.“

2009 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა აპოლონის გარდაცვალებიდან 20 წლისთავსადმი მიძღვნილი სხდომა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება, სერგი დურმიშიძის სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი მოსაწვევ ბარათში იტყობინებოდა:

„2009 წლის 8 ივლისს 12 საათზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპ., 52, V სართული) გაიმართება გამორჩენილი ქართველი მეცნიერის, გენომური დაქტილოსკოპიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, რუსეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის აპოლონ ჯინჭარაძის (1961-1989) ხსოვნისადმი მიძღვნილი სხდომა.“

ამ ფაქტთან დაკავშირებით ჟურნალისტი თამარ შაიშმელაშვილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 10 ივლისის ნომერში, სტატიაში „ის, ვინც ღმერთებს უყვარს, ადრე მიდის ცხოვრებიდან...“ წერდა:

„აპოლონ ჯინჭარაძე 28 წლისა გარდაიცვალა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ ძველი ბერძენი დრამატურგის მენანდრეს სიტყვები დაიმონმა – ის, ვინც ღმერთებს უყვარს, ადრე მიდის ცხოვრებიდან. ასე განეწორა ამ წუთისოფელს აპოლონ ჯინჭარაძე.“

აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ აღნიშნა, რომ უდროოდ წასული თვალსაჩინო მეცნიერის სახელი დიდ სინანულსა და სევდასთან ერთად სიხარულსაც უკავშირდება. სინანული და სევდა გვიპყრობს, რომ იგი ცოცხალი აღარაა, გვიხარია, რადგან იყო დიდი, საერთაშორისო დონის მეცნიერი: „1989 წელს წავიდა ამ ქვეყნიდან. ხოლო მაშინ, როცა რუსებს ქართველები გულზე აღარ ეხატებოდათ, 1996 წელს, რუსეთის სახელმწიფო პრემია მიენიჭა“.

გიორგი კვესიტაძემ აპოლონ ჯინჭარაძის ღვანლი მოლეკულურ ბიოლოგიაში, პოეზიაში ლაღო ასათიანის ლექსებს შეაღარა.

აკადემიკოსმა თენგიზ ბერიძემ აპოლონ ჯინჭარაძის სამეცნიერო მოღვაწეობა მიმოიხილა... აპოლონ ჯინჭარაძის დამსახურება იყო, რომ მან გენომური დაქტილოსკოპიის მეთოდი (რომელიც მანამდე მხოლოდ ადამიანებით იყო შემოფარგლული) მთელ ცოცხალ სამყაროზე გაავრცელა მიკროორგანიზმებიდან დანყებული ადამიანებით დამთავრებული..

აკადემიის ნევრ-კორესპონდენტმა გიორგი ნახუცრიშვილმა აპოლონ ჯინჭარაძე გამორჩეულ სტუდენტად მოიხსენია, ვისაც ჰქონდა უიშვიათესი თვისება – მიზანსწრაფვა რაღაც მიმართულებით, რითაც ჭეშმარიტი მეცნიერი ყალიბდებოდა. მისი მიზანსწრაფვა მოლეკულური ბიოლოგია აღმოჩნდა.

იგი იყო უნიკალური გარეგნობის, ნიჭიერი, განათლებული, საოცრად მშვიდი, რასაც მეცნიერება საჭიროებს, ყველა თვისებით შემკული.

სხდომაზე აპოლონ ჯინჭარაძე გაიხსენეს: 47-ე სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელმა მერი მონონელიძემ, უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის თანამშრომელმა თინა ჯოხაძემ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნინო შენგელიამ, თანაკურსელებმა: ვასილ გაბუნიაძე, მაია მესხია, მათუნა გოდერძიშვილმა.

აპოლონ ჯინჭარაძემ საკუთარი ოჯახის შექმნა ვერ მოასწრო. სხდომაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში აპოლონის დედა და ძმა მოვიდნენ.

ამაღელვებელი იყო ბადრი ჯინჭარაძის მიერ ძმასთან ერთად გატარებული წლების გახსენება. მას ბავშვობიდანვე იზიდავდა ბუნება, რაღაც ექსპერიმენტებსაც ატარებდა, მრავალმხრივი ცოდნით გამოირჩეოდა, და რაც მთავარია, მეცნიერება მისი გატაცება იყო.

ითქვა ისიც, რომ აპოლონ ჯინჭარაძის ღვანლი დღემდე სათანადოდ არ დაუფასებიათ. მას ბევრი არ იცნობს. კარგი იქნება, თუ მის შესახებ დანვრილებითი ინფორმაცია ინტერნეტშიც გავრცელდებო.

მეცნიერის გარდაცვალების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომაც მისი ღვანლის წარმოჩენის ლამაზ დღედ გადაიქცა“.

ეს სხდომა იმავე დღეს გააშუქა გაზეთმა „ვერსიამაც“ სტატიაში „ქართველი მეცნიერი, რომლის აღმოჩენილი ზონდით ნიკოლოზ მერის ნეშტი ამოიცივნეს“ (ავტორი თამარ ლომსაძე).

2009 წელი. აპოლონი შეტანილია მე-10 კლასის ბიოლოგიის სახელმძღვანელოში (ავტორები: ლამარა ბურდილაძე, მარინე ბაგალიშვილი, ქეთევან მალრაძე). ეს აპოლონის ღვანლის სამარადუამო დაფასებაა.


აპოლონმა გაუძლო დროის გამოცდას. გენომური დაქტილოსკოპიის მეთოდი ვითარდება, იხვეწება. ეს კიდევ უფრო აღრმავებს ინტერესს აპოლონისადმი, რისი დასტურიცაა მისი დაფასება და კიდევ ერთხელ გახსენება მრავალი წლის შემდეგ. მისი შრომები არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას ფუნდამენტური მეცნიერებისთვის.

რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ აპოლონი მარ-
თლაც რომ გამორჩეული ადამიანი იყო. ასეთ მოკლე დროში, იმ უძ-
რობის ეპოქაში მან შეძლო, როგორც მეცნიერი ასულიყო მსოფლიო
დონემდე. ამაზე ხაზგასმით ისაუბრეს აკადემიაში ბატონებმა თენ-
გიზ ბერიძემ, გიორგი კვეციტაძემ, თამაზ გამყრელიძემ, გიორგი ნა-
ხუცრიშვილმა.

მე შევეცადე მომეთხრო აპოლონის შესახებ. თუმცა მისი ფენომე-
ნი ჩემთვისაც კი ბოლომდე ადვილად გასააზრებელი არ არის. ადა-
მიანის საქმიანობა, მისი ამქვეყნიური ცხოვრება ხილვადია, მისი სუ-
ლიერი სამყაროს შეცნობა კი არც ისე იოლი.

მახსენდება 1982 წელს მოსკოვის პირველი არხით გასული ცნო-
ბილი მინისერიალი ნიკოლო პაგანიანის ცხოვრების შესახებ. მუსი-
კოსს ბრწყინვალედ განასახიერებდა სომეხი მსახიობი ვლადიმერ
მსრიანი. პაგანიანის ჰყავდა ერთგული შინამოსამსახურე, რომელიც
სიცოცხლის ბოლო წუთამდე მის გვერდით იყო. ფილმი მთავრდება
მისი მონოლოგით, რომლის ბოლო ფრაზაც ასე ჟღერს: „მე მაინც
ვერ შევიცანი თქვენი სული, მაესტრო“. ძნელია ჩანვდე განიოსის
სულს.

*თბილისი
29.09.2009.*



დაიბეჭდა და აიკინდა შპს „პეტიტში“

მის.: თბილისი, შარაშიძის ქუჩა № 6.

ტელ.: 29-22-89

e-mail: info@petite.ge



აპოლონი დედ-მამასა და ძმასთან



ქობულეთი, 1963 წ.



წყნეთი, 1965 წ.



თბილისი. აპოლონ და ბადრი ჯინჭარაძეები



კოჯორი



თბილისი



გურია, სოფ. შემოქმედი



ბაკურიანი, 1975 წ.





ფასანაური



აპოლონი თანაკურსელებთან ერთად



ვარძია, 1980 წ.



მოსკოვი, პერედელკინო



ბალტიისპირეთი





ოსუ, ბიოლოგიის ფაკულტეტი, გენეტიკის კათედრა



მოსკოვი, მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორია



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2009 წ.
აპოლონ ჯინჭარაძის გარდაცვალებიდან 20 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა